

K27.127
2



ინკოდ ბაზარის ვიზი

იღია ქავერების

მოწაფეობა და ცეკვის მობა





მუკლე გადახვევილი

0 1 0 1 9 1 3 9 1 3 , 0 9 0 6
მონაცემები და სფუღები

მიმღებავის ნახატი

K 27.127
2



სერია 300
19 თბილისი 37



„ఎలూండా గ్రంథాలయిస్-డీ పొడపాపామ్చెక్సిస్‌ట్రిమ్స్‌టోమ్స్‌ప్రోఫెసర్స్‌సిస్టమ్“
అప్పాడి మిశ్రమాలుగా కూడా బాజార్‌ట్రేల్స్‌మె-19
బాస్క్‌బ్రెసిస్ మ్యూనిసిపల్ కౌన్సిల్‌లో నొపించాల్స్‌స్కూల్-
స్కూల్‌ట్రైనింగ్‌ప్రోగ్రామ్ మంద్రాంధుసిస్ రూల్రూల్రేసాండ
ప్రోక్షుణార్ట్‌లో బాస్క్‌బ్రెసిస్ మండపాట్రేస్“.

(పాఠ. „ప్రావ్యాపా“ 1936 ఫి. № 244)

თავი პირველი

ყვარელი. ჭავჭავაძიანთ გვარის შემოსვლა ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძის გენეალოგიური შრო. დედ-მამა.

ილიას დაბადება. ძმები და დები.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთის განაპირა ყოფილ თელავის მაზრის სოფელ ყვარელში.

„ღვიძლი სოფელი ყვარელი — სწერდა რამდენიმე ათეული წლის წინად გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი — სადაც ილიამ თვისი ყრმობა და თითქმის სიკაბუკეც გაატარა, სილამაზით არ არის შემყული. ეს დიდი სოფელი ვიწრო ხეობაშია მოქცეული, სადაც მემამულეთა და გლეხების სახლ-კარი ერთი მეორეზე მჭიდროთ არის მიკრული, რადგანაც არ არის ვრცელი ადგილი ეზოსა და ბალებისათვის; მხოლოდ ზოგ მემამულესა და გლეხს აქვს პატარ-პატარა ბალები სახლთან.

სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აქლია; ეზო ფართოა, არც ერთი ხე ეზოში არ მოიპოვება, სალგომი სახლიც დაბალია, სივრცეს მოკლებული და სრულიად არა ჰგავს მებატონის სახლს. შუა ეზოში ეხლაცა სდგას მსხვილ კედლებიანი ძველებური კოშკი, სადაც ლეკების შემოსვეის დროს მთელი ოჯახობა მოსამსახურებით თავს აფარებდნენ ხოლმე.

აქ გაატარა ილიამ თვისი სიცოცხლის პირველი დრო. აქ, ორი ქვეყნის — საქართვის საქართველოს და სამუსულმანო-დალესტნის საზღვარზე, ილიამ მიიღო ქვეყნისა

და სიცოცხლის პირველი შთაბეჭდილებანი. აქეუ, ბავშვობისას, ისმენდა ილია სხვადასხვა ამბებს თვის ნდოქსავე ბის ან გლეხების ბრძოლის შესახებ ლეკებთან, პრასაცირ რველია, ამ ამბებს დიდი გავლენა ჰქონდა ბავშვის ფანტაზიაზე და განუღიძეს პოეტური აღმაფრენა.


კიდევ უფრო მოქმედობდა ილიაზე საუცხოვო ბუნება, რომელიც გარს არტყია სოფ. ყვარელს. ჩრდილოეთით, ახლაც ციხიდან აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მაღალი მთები და ხეობაში სჩინს ვიწრო ბილიკი, რომელთაც მგზავრი მიპყავს უცხო მხარეში — დალესტანში. რაღაც საიდუმლოება მეფობს ამ ტყეში, არემარე ღრმა სიჩუმით არის მოცული, მხოლოდ ფრინველთა ჭიკები და ნაკადულთა ჩრიიალი არღვევს მყუდროებას.

სამხრეთით, ვრცელ ავარლის ზვრების იქით, იშლება მზიანი ქვეყანა, ფერადებით აქრელებული: — ეს არის საუცხოვო ალაზნის ველი — მშენება კახეთისა, რომელიც ილიას ძლიერ უყვარდა, და რომლის სიმშენიერით ყოველთვის აღტაცებული უნდა იყვას ყველა, ვინც იქ ყოფილა და უნახავს.

იქ ყველაფერი თვალშინ გეშლებათ, მნახველის თვალი სცურავს სინათლესა და ფერადებში, მაშინ როცა სოფლის ჩრდილო მხარე შემოზღუდულია საიდუმლოებით მოცულ და დაღვრემილ უტეხ ტყებით.

თუ ახვალთ რომელისამე მახლობელ მთის წვერვალზე, რომელიც უზარმაზარ კედლად არის აღმართული, და იქედან გადახედავთ, თვალშინ გადაგეშლებათ ვებერთელა სურათი, რომელიც წარმოადგენს ალაზნის ველს თელავიდან სიღნაღამდის და შორს ქიზიყამდისაც.

ეს მხატვრული მწვანე ველი, ხეებით შემოსილი, ისე საესეა სიმშენიერით, რომ მისი აღწერა ვერავითარ კალამს ვერ შეუძლია. გარდა თვითონ ველისა და მახლო-



სოფელი ყვარელი, საბლი, რომელშიაც დაიბატა ი მ ი

ბელ მთების სიმშვერიერისა, თვალს იტაცებს კიდევ რა-
ლაც ჯადოსნური სინათლე, რომელიც ყოველ დღე სხვა გადა-
დასხვანაირად იცვლება. მაგრამ კახეთი საუცხოვოა ბინა რომ ა-
დისასაც, მხოლოდ ამოსელისას და ჩასვლის დროსაც და
ზოგირიან ლამეშიც, როცა მთელ ალაზნის ველს ვერცხ-
ლისფერი სხივები დაქაშეაშებს. ილიამ იცოდა კახეთის
ბუნების მთელი სიმშვერიერე და ალტაცებული იყო მო-
გონებითაც.“¹

ქავჭავაძენი მეთხუთმეტე საუკუნიდან გამოჩნდნენ ის-
ტორიაში და მაშინვე მიიპყრეს ქართველ მეფეთა ყურა-
დლება.

გადმოცემით ქავჭავაძენი არიან ხევსურნი.

„1726 წელს კახეთის მეფე ქონსტანტინემ უბოძა - ამ
გვარის წარმომადგუნელთ თავალობა და ქავჭავაძენი თა-
ვადობის ლირსებით ჩაიწერნენ იმ უმაღლესის წოდების
სიაში, რომელიც დაერთო რუსეთსა და საქართველოს
შორის დადებულ ხელშეკრულებას 1783 წელს“.²

ილიას წარსულში ყავს დიდი მოგვარე პოეტ ალექ-
სანდრე ქავჭავაძის შახით, მაგრამ მათი გენეალოგიური
ტაბულები ერთმანით არ იხლართებიან.


საქართველოს მწერალთა მუზეუმში დაცულ ქავჭავა-
ძეთა გვარტომობის საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ
პოეტის წინაპარნი (და სხვათაშორის ძმებიც) ყველანი
სამშედრო პირნი ყოფილან.

ილია ქავჭავაძე ბედნიერი გამონაკლისია მათვან, რო-
მელმაც „ბასრი ხმალი“ „სუსტ კალამში“ გასცვალა.

აკი თითონ პოეტი ამბობს კიდეც:

ხმალი იმოდეს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშეიდობიანი
კალმის პატარა ჭვერიო.

0401 პავილიონის გენერალური შტო



^{*)} რა ზემა უნდა, აქ მოხსენებული გარსევანი არ არას მამა პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა ცნობილი დესპანი გარსევან ჭავჭავაძე.

ილიას მამა გრიგოლ პატას-ძე დაიბადა 1812 წელს.
როცა კახეთში გლეხთა ცნობილმა ამბოხებამ იფეფქა:
პირველ დაწყებითი სწავლა გრიგოლ ჭავჭავაძემ სახლ-
ში მიიღო. საშუალო განათლება კი „თბილისის კეთილ-
შობილთა სასწავლებელში“.

გრიგოლი ჯერ სამხედრო პირი იყო — ოფიცერი ნიუე-
გოროდის დრაგუნთა პოლკისა, მაგრამ მალე მან სამხე-
დრო მუნდირი გაიხადა და დასახლდა მამა-პაპეულ მა-
მულში.

თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული, რუსული
ენის მცოდნე გრიგოლი „მარტო სისხლით იყო მდიდარი
და არა ქონებით“.

ზედმეტ სახელად გრიგოლს „პაჭას“ ეძახდნენ.

გრიგოლ ჭავჭავაძე მთელ კახეთში ცნობილი იყო,
როგორც სიტყვამოსწრებული, ენამახვილი და ხუმარა
კაცი.

„ერთხელ, თურმე ქალაქში იყო ალექსანდრე ჭავჭავა-
ძის სიხლობაში. იქვე მივიდა ხამად ქალაქში ჩამოსული
ერთი კახელი თავადიშვილი. კარებში გრიგოლი შეეგება.
მოსულმა, რა დაინახა მდიდრული მორთულობა და გას-
პეტაკებული იატაკი, ცოტათი შეკრთა. ამ დროს გრიგოლ-
მაც დაასწრო:

— რას შერები, კაცო, ემაგრე კი არ წაეყუდო;
უნდა წალები გაიხადო და ისე შეხვიდე პირველადაო; ლა-
ქია დაგიწმენდავს წალებს და ზალაში მოგარომევსო.

გულუბრყვილო თავადმა დაიჯერა. ვიდრე ის წალებს
გაიხდიდა, გრიგოლმა შეატყობინა ეს გარემოება დიასახ-
ლისს. გამოცვიდნენ ქალები და იხილეს გამოჭიმული
ფეხშიშველა სტუმარი. რასაკვირველია, სიცილსა და ხარ-
ხარს ბოლო არ ექნებოდა.

ძალიან უყვარდა გრიგოლს ოხუნჯობა ერთ თავადი-

შვილზედ, რომელსაც მეტ სახელად „კუდა“ ერქვა. კუ-
და რო გრიგოლს დაინახავდა, დამალებოდა ხოლმე, ან
შეეხვეწებოდა: „მამა ნუ წაგიწუდება, გრიგოლ, თავი და
მანებელი“. ერთხელ ეს „კუდა“ ვორონცოვთან შევიდა
რაღაც საქმისათვის. კარებში შევიდა თუ არა, სალდათმა
მიაძახა „куდა?“ თავალი განრისხდა: დაბედე იმ წყეულ
გრიგოლს ეს სალდათებიც გაუბრიყებიათ“.⁴

სახლში კი გრიგოლი ნიადაგ კოპშექტული, მოლრუბ-
ლული და სახეჩამობნელებული იყო. რამდენიმე დღე
ზშირად ისე გაივლიდა თურმე, რომ მის ხმას ვერავინ
გაივონებდა.

ილიას დედა მაგდან, თბილისელი სომეხ-გრიგორიანი
ასული ქრისტეფორე ბებურიშვილისა, დაიბადა 1818 წელს.

„მაგდანის მამის ოჯახი ისეთი ოჯახი იყო, რომელში-
აც სომხური არავინ იცოდა და მთლად ქართული იყო
იქ გამეფებული. უმთავრესი თვისება ამ ოჯახისა ის იყო,
რომ ქართულ ენასთან ერთად, ყოველივე ზნე-ჩვეულება,
ყოველი ინტერესი, სარწმუნოებრივს ინტერესს გარდა,
წმინდა ქართული იყო“. ⁵

როცა გრიგოლს ცამეტი წლის მაგდანი დაუნიშნია,
მაგდანს მაშინვე გამოუცხადებია მშობლებისათვის: „რად-
გან ქართველის ოჯახში რძლად შევდივარ, უიპვილად
იმათ სარწმუნოებაზედ უნდა გადავიდეო“. ⁶

მშობელი და მები წინაღუდგნენ ამ განშრახვას, მაგ-
რამ მტკიცე ნებისყოფის ქალმა თავისი გაიტანა.

გათხოვებისას მართლმადიდებლომბის მიღებისთანავე
მაგდანს სახელი შეუცვალეს და მარიამი დარქვეს.

მარიამი სახით ლამაზი ქალი ყოფილა, მაგრამ მეტის-
მეტად სრული.

არა ერთხელ გაუგონია ილიას თავისი ხასიათის თვი-
სების ახსნა იმით, რომ მისი დედა იყო ტომით სომეხი.

„როდესაც ილია — გადმოგვცემს იონა მეუნარგვა — დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ იყო და ერთს სა-დილზე რაღაც შემთხვევის გამო სიტყვა წარმოსოქვა, ეს კავკა-სიტყვა სხვაზე უფრო ერთს სომებს მოეწონა.

— უჯ, შენი ჭირიმე, კნიაზო, კარგი იმიტომა ხარ, რომ დედა სომები გყავსო, უთხრა იმას სომებმა.

— საკვირველია, თქვენმა მზემ, თქვენ დედაც სომები ყყავდათ და მამაც და ასეთი თავშედი გამოსულხართ, მიუგო გულნატკენმა პოეტმა".⁷

ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღად ჩვეულებრივ მიღებულია 1837 წლის 27 ოქტომბერი, თუმცა სოფელ ყვარელის ეკლესიის „მეტრიკული წიგნი“ ილიას დაბა-დების დღედ აღნიშნავს 20 იანვარს.⁸

თავის ავტობიოგრაფიაში ილია ხმარობს პირველ თა-რიღს.⁹

ამ თარიღსვე მხარს უჭერს პოეტის დის ელისაბედ სა-გინაშვილის შემდეგი ცნობაც: =ტყუილა — სწერს იგი — ვითომ განსვენებული ჩემი ძმა დაბადებულისყვეს იანვარში: მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელ-მიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილების დაბადების დღე; კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჭავჭავაძის შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსათ.¹⁰

გრიგოლს და მარიამს სულ ექვსი შვილი ყოლიათ: ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟები: კონსტანტინე, ილია, თემური (თეიმურაზ) და სეიმონი. ქალები: ნინო და ელი-საბედ.

უფროსი ვაჟი კონსტანტინე ნამყოფი უმაღლეს სასწავ-ლებელში მოუკლავთ ლექებს 1854 წლის 3 ივლისს, რო-ცა დავით ჭავჭავაძის სახლობა გაიტაცეს წინანდალიდან. თემური, რომელიც დედის გარდაცვალებისას ორი

წლის იყო, მოკვდა პეტერბურგს კადეტთა კორპუსში ყოფილისას.

სვიმონი ბაქუმბაშივე გარდაიცვალა.

უფროსი და ნინო იყო მეუღლე ნიკოლოზ აბხაზისა.

უმცროსი და ელისაბედ, გათხოვილი იყო ჯერ ჯამბა-კურ-ორბელიანზე, ხოლო დაქვრივების შემდეგ საგინაშვილზე.

თავი მეორე

იღიას ბავშვობის პირველი წლები. დედის მიერ მთავ-
სრობების ხმამაღლა კითხვა. ვარჯიშობა მოსმენილის
გადმოცემაში. წერა-კითხვის დაწყება მთავარდიაკონთან.
გამდელი სალომე ლოლაძე. იღია „ხბოში“. ციუბით
დაავადება.

როგორც სხვა შვილებს, იღიასაც თვითონ ზრდიდა
მარიამი.

ოჯახში მუდამ ურყვ და მოლუშულ ქმრისაგან გან-
დგომილი დედა პოეტისა მოელ დღეს ბავშვების მოვლა-
პატრიონობაში ატარებდა.

თვითონ იღია თავის აეტობიოგრაფიაში სწერს:

„დედაჩემა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული
მწერლობა, სულ ზეპირადა ჰქონდა დასწავლული თითქ-
მის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხოვობა და
რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი
და ან ხელნაწერი. სალამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და
გვიკითხავდა მოთხოვნებსა და ამბებს; წაკითხვის შემ-
დეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის სალამოზედ
გვეითხავდა: აბა ვინ უფრო კარგათ მიამბობს, რაც გუ-
შინ გაიგონეთო. ვინც კარგათ ვუამბობდით, გვაქებდა და
ამ ქებას ჩვენ დიდათ ვაფასებდით“. ¹¹

რეა წლის იყო იღია, როცა სწავლა დაიწყო მთავარ-
დიაკონთან გლეხეაცის შვილებთან ერთად.

„სწავლა — მოგვითხოვობს იღია — რეა წლისამ დავი-
წყო ჩვენი. სოფლისავე მთავართან ქართულის წერა-კით-



ი მ ი ა ს გამჭველი — სალომე ლოლაძე



ვიქნებოდი 8—9 წლისა, ილიაც ჩემი ხნისა იქნებოდა. ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა. ძლიერ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა. მეტის მეტი ჯანმრთელი იყო, ძლიერ სრულიც, ასე რომ მშობლებს ეზინოდათ კიდეც ამისი გადაჭარბებულ სიმსუჯნისა.

ხშირად მოიხმობდა ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურებს და ლექსებს ათქმევინებდა. ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ექაშნიკა და მოლექსე გააგდო: „შენ კარგი ლექსები არ გცოდნიაო“.

მეტის მეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დლეში მოსამსახურეს.

ხშირად გაგზავნიდა მისი მამიდა მუშების დასათვალი-ერებლად და სამუშაოდ დასამახებლად. ილია მაღა დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილადა სძინავთ ჩრდილოში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდენო“¹³.

რახან ილიას ხასიათის აღწერაზე ჩამოვარდა ბაასი, ურიგო არ იქნება მოვისმინოთ პოეტის დის მოწმობაც:

„ჩემის დის ნინასაგან გამიგონია, — სწერს ელისაბედ საგინაშვილი — ილია ბავშვობაშივე თავისს ტოლებში სრულებით თურმე ირჩეოდა, როგორც მშვიდი, წყნარი, დაძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ, ბავშვები, ვთამაშობდითო; იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობასა თამაშობაშიო“¹⁴.

ხშირად დადიოდა ილია სოფლის გოგო-ბიქებთან „ხბოში“. „ბავშობისას ხბოში, რომ წავიდოდი — სთქვა ერთხელ ილიამ — დედა პატარა ბოთლით ლვინოს გამატანდა, მეტყოდა მღვრივე წყლის მაგიერ ეს დალიეო“¹⁵.

ალბად აქვე „ხბოში“ სიარულისას განიცადა მან მწყემსური ცხოვრების ის მწარე და თან სანეტარო წუ-

თები, რომელიც ასეთი ოსტატობით იღწევრა შემდეგ თა-
ვის ცნობილ - „კაქო ყაჩალში“.

ამავე ხანებში ილია დაავადდა ციებით, რომელსაც
ტყლიპის გასიება მოყვა.

ბევრი აწვალეს ბავშეი სხვადასხვაგვარ სოფლურ ჭამ-
ლებით, მაგრამ არაფერმა არ უშველა. სხვა გზა არ იყო,
სამჯურნალოდ თბილისს უნდა ჭამოეყვანათ.

თავი მესამე

ილიას ჩამოყანა თბილისში. ავლაბრელი ფერშა-
ლი. ციებისაგან განკურნება. ჰაკეტის პანსიონი. ილიას
დედის გარდაცვალება. მამიდა მაკრინე. ოცნება ბე-
რად შედგომაზე და ვოლონტიორად გახდომასე. სახაფ-
ხულო არდადებები. პირველი ლექსები. ხალხური შე-
მოქმედების მასალების შეგროვება. დაბრუნება თბი-
ლისში. ილიას პირველი სიყვარული.

1847 წლის შემოდგომაზე მეთერთმეტე წელში გა-
დამდგარი ილია, გრიგოლ ჭავჭავაძემ თბილისში ჩამოიყ-
ვანა სამკურნალოდ.

„ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა — მოვეითხრობს
ილია — ყველა ექიმები დამასიეს, მაგრამ ვერას გახდ-
ნენ რა; მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბ-
რიდან, კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა
იყო, რომ ხატვა ვიკოდე, დავხატავ, ისე ცოცხ-
ლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევია, წა-
მისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას
არ გააციებსო, და მართლა მის აქეთ ჩემთვის არ გაუ-
ციებია“.¹⁴

ციებისაგან მორჩენილი ბავშვი გრიგოლ ჭავჭავაძემ
შიაბარა იანიშვევსკისა და ჰაკეტის პანსიონში.

ეს პანსიონი თბილისის ყველა პანსიონებზე- უკეთესი
იყო. აქ აბარებდნენ თავიანთ შვილებს შეძლებული მო-
ხელენი და თავად-აზნაურნიც.

იანიშვევსკისა და ჰაკეტის პანსიონი ეთანასჭორებოდა

გიმნაზიის დაბალ ქლასებს (პროგიმნაზიულს) და მოთავ-
სებული იყო თბილისში პეტიონების სახლში.

პანიონში ისწავლებოდა: სამღვთო რჯული, საეკლესიანული
სიონ ისტორია, რუსული გრამატიკა, არითმეტიკა, ისტო-
რია, გეოგრაფია, ლათინური, ფრანგული, ქართული, სომ-
ხური ენები და, მართლწერა, ხატვა და ცივები.

შესატანი ფასი პანიონერისათვის დაწესებული ყო-
ფილა წელიწადში 250 მანეთი. ნახევარ პანიონერისათვის
200 მანეთი.

„ჰაკები — სწერს ილია თავის აეტობიოგრაფიაში —
გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი.

გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე
კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავის შეილების აღ-
საზრდელად. ხოლო ნეიტგარტის შემდეგ თბილისში დარ-
ჩა და იანიშვესკისთან ერთად პანიონი დააარსა.

ჰაკები სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად შა-
მობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შევირდების მი-
მართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უვდებდა მათს
ზეობრივსა და გონიეროვ განვითარებას, რომ თითქმის
მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემ-
დეგ, იმათ ანდომებდა: ხან ემსაიფებოდა, ხან ართობდა
მუსიკითა და მართავდა ხელდახელ კონკრეტს როიალზედ,
რომლის დაკვრაც საუკონვოდ იცოდა.“¹¹

1848 წლის აპრილის დასასრულს ილიას დედა ავად
გახდა სახიდით. ბავშვები ავადმყოფს მოაშორეს დაცალ-
კე მოათავსეს.

ყოველგვარ ღონისძიებათა მიუხედავად იმავე წლის
მაისის 4-ს შარიამი გარდაიცვალა.

გარიამის სიკედილის შემდეგ, გრიგოლ ჭავჭავაძემ თა-
ვისი ქვრივად დარჩენილი, უშვილო და — მაკრინი, ივანე
არაგვის ერისთავის მეულლე გადმოიყვანა ყვარელში, ამ

ქალმა თავს იდო დედობრივი მხრუნველობა გეწია
ობლებისათვის.

„დედის გარდაცვალებამ ილია უდიდეს მწეხარებაში
ჩააგდო და ბერად შედგომაზე ოცნება დააწყებინა“.

„ყმაწველობაში — განაცხადა ერთხელ ილიამ — და-
კაპირე ბერად შედგომა, ძრიელ მომწონდა მყუდრო, გან-
დევილი ცხოვრება. მაგრამ როცა გარიბალდიმ დაიწყო
თვისი მოქმედება, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე
ვოლონტიორად მასთან წასვლაო“.¹⁸

დაიწყო არდადეგები, ილია წამოვიდა საყვარელ ყვა-
რელში. სწორედ ამ ზაფხულს დაიწყო მან ლექსების წერა.

ბავშვობიდანვე პოეტთან შეზრდილი კობტა აბხაზი
იგონებს:

„როგორც მახსოვს, ილია პატარაობიდანვე ლექსებსა
სწერდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა. ილია იქნებოდა ესე
თერთმეტი წლისა. ჩეენ სოფელში კარდანახში ვიყავით.
კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის
მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩეენც იქ წავედით.
მთელი დღე ვუცერიოთ გახურებულ მამითადს.“

სალამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ
რო ასე შვიდი ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული
წვიმა დაუშვა, და მთელი ნიაღვარი მოვარდა.

მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სო-
ფელში ჩალაუბანში და ლამეც იქ გავატარეთ. მაგრამ
მთელი ლამე არ ჩავთვლემია. ერთ გლეხეაცის სახლში
ვიწევით და ლამე იმოდენა მქენარი (რწყილები) დაგვეხ-
ვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინები-
თურთ და ერთს დიდს კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა
მაინც გამოვიძინეთ.

აი სწორედ აქ დასწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი
„რწყილები“. საუბედუროთ ეს ლექსი არ შენახულა და

არც ვიღო, რა უყო ილიამ. შახსოვები, მარტო, რომ ამ
ლექსში დიდის ახალჯობით და მეტად კომიკურად მფრინავა
აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა და ლექსმა „შეგ-იმითავა
რი გვაცინა“.¹⁹

ლექსს „რწყილებზე“ მოყვა ლექსები: „კოშკზე“, „მა-
რანზე“ და სხვა.

ალბად ამ დროსვე ეკუთვნის ილიას ორი საალბოშო
ლექსი:

პირველი:

ალბოში კნეინას ნატალია ანდრონიკაშვილისას
ნელი ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ვნახე,
არს შენი თვალი განათალი ჭაბუკოთვის მახე,
ტუჩთა ლიმილი შენი სიცილი გულსა ვისახე,
ორთა ვით დათა, ცილქობა კავთა, გიშვეს შენ სახე, —
ორს თამაშობა ქორწინობას მე შენი ვნახე.
გიძლენი ამ ლექსსა საალბოშოდ, სხვათა მიებაძე,
რომ მომიგონო, ძმათ მიგონო მე ჭავჭავაძე.

და მეორე:

კნეინა თიკო ჭავჭავაძის ალბოში
ჩემებრისა სუსტსა შენი ქება ვით შემეძლება,
შენ ხარ ჭებასედ აღმატებულ ესე მეთქმება.
შენ თვითონ იცი რაღა ფიცი მე მომინდება,
რომ შევნება შენი ქვეყნიერსა არ ედარება.
გთხოვ, ამ სუსტს ლექსა ალბოში მისცე მიირედი წილია,
რომ წარეითხვითა მიგონო მე შენი ძმაშ ილია.

სოფელში ყოფნის მთელ თავისუფალ დროს ილია
გლეხებთან საუბარში და ხალხურ შემოქმედების მასალე-
ბის შეკრება-შეგროვებაში ატარებდა. „ილიას — სწერს
პოეტის ბავშვობის მეგობარი — მეტის მეტად უყვარდა
ბაასი გლეხეკაცებთან. მეტადრი მოხუცებულებთან. ჰერეფ-

და და ოგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს.
უყვარდა შესტეირები და სიამოვნებით უგდებდა ყურს”²⁰
საზაფხულო არდადეგების დაკრულებისთანავე მიღება მართა
პანსიონს დაუბრუნდა.

ამავე ხანებს ექვთვნის ილიას პირველი სიყვარული.
კოხტა აბხაზი იგონებს:

„ილიას პირველი სატრფო გახლდათ ვინმე ტერ-ახა-
ტუროვისა. ილია იქნებოდა ესე ცამეტი წლისა. მისი
სატრფოს მშობლები სცხოვრობდნენ თამაზშევის მქარვას-
ლის მეორე სართულში. ხშირად მიუახლოვდებოდით
ხოლმე მე და ილია მის ლვთაების სარკმელს და იქიდა-
ნაც ლიმილით გადმოგვხედავდა ხოლმე პატარა ქალი. ეს
სიყვარული, თუ კი სიყვარულიდ ჩაითვლება, იყო ნამ-
დვილად პლატონური“.²¹

თავი მართხევ

მ. ს. ვორონცოვის „რუსიფიკატორული პოლიტიკა“ იღიას გადმოსცლა გიმნაზიაში. სასწავლებლის წარსული. სკოლის რევიზი. სწავლისაგან გულის აცრუება და იღიას გატაცება კერძო წიგნების კითხვით. რომანი გიმნაზიის დირექტორის ქალიშვილთან. სასწავლო ნიშნები. იღიას დატოვება იმავე კლასში. იღიას დის გათხოვება.

„კავკასიის მთავარმართებლად“ დანიშვნის დღიდან,
მ. ს. ვორონცოვი ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობდა,
რომ „მოენადირებია“ ქართველ თავად-აზნაურობის
გული და გადაექცია ისინი რუსეთის თვითმპურობელობის
ავტოსიულ პოლიტიკის მსახურად:

ყველაფერი ეს კი დიდ სიტრითხილესა და მოხერხებას
ითხოვდა.

იმპერიატორ ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხ-
სენებაში ვორონცოვი ამის გამო სწერდა:

„ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რო-
მელიც საუკუნოებით შექმნილ ჩვეულებებსა სცვლის,
ყველგან არაჩემელებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვ-
რებაში გატარების დროს; განსაკუთრებით კი ამ მხარეში.
ამისათვის ამგვარ შემთხვევაში საჭიროა დიდი სიტრითხი-
ლით მოქმედება. იძულებით ზომები არა თუ არა მოიტა-
ნენ სარგებლობას, არამედ შესაძლოა გამოიღონ ფრიად
საზარალო შედეგებიც“. ²³



ଗ୍ରଙ୍ଗନ୍ଧ ଶିଶିଳ୍ଲା ମିଶ୍ରଗୋପ୍ତ୍ର

რუსეთის მონარქიის ერთგულმა აგენტმა შესაფერისა
ზომები შეიმუშავა და საქმეს შეუდგა.

ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილი არსი გმხოლოდ
თითო-ოროლა თავად-აზნაურს თუ ესმოდა. ერთი მათ-
განი თავადი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი აი რას
სწერდა:

.... სხვა წარსული მთავარმართებლები ხომ გვატყუებდ-
ნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურ მძინვარებით, ხოლო
ის დრო ვორონცოვისა საქართველოში ჩვენი გამოუც-
დელობისათვის, სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო
იყო ვორონცოვისაგან.

ასე ამგვარად ბევრის კაის-კაცობისა, ალექსითა, მი-
თომ კაი-კაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად კიდევ უფრო
იმათ, ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა. ამასთან
ხელ-გაშლილი, ჩინებსა და სხვა ჯილდოს იძრეოდა, თან
ბევრი შექცევა და ვანცხრომა ჰქონდა ხოლმე, სადაც
აღტაცებულის სიხარულით თ. გ. ერისთავის კომედიებს
წარმოადგენდნენ თვით გიორგი ერისთავის ზედამდევო-
ბით, და ქართულ ურნალ ცისკარსაც გიორგივე გამოს-
ცემდა და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვორონცოვმა
ჩვენი მოსატყუებელი.

ერთობ ქართველებს ასე ეფონათ საქართველოში სულ
ეს ამბავი ასე დარჩებოდა, იმისთანა ჯილდოები, იმისთა-
ნა განცხრომა-შექცევანი, იმისთანა თეატრ-ლიტერატურო-
ბა, იმისთანა თავისუფლებანი, და ამიტომ ვორონცოვის
სახელს იდიდებდნენ: ეს რა ლვთიური კაცი მოგვივიდაო.

მაგრამ მე კი ზედმიწევნით ეიცოდი, ესეები სულ მოჩ-
ვენება იყო ვორონცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი
გართულები იყვნენ დროებითად ამაებში და მთავრობაზედ
ცუდი ფიქრი აღარავის არა ჰქონდეს, ამისათვის, რომ
ვორონცოვის დროს შამილი და დალესტანი გაძლიერებული

იყვნენ; ქართველების ემინოდა, მაგრამ ვორონცოვმა იმ
თავისი ცბიერულის გონებითა ესეები სულ ჩაშალდა, დარწევა
ბოლო დროს ისევ იმ მონებაში დარჩნენ ქართველები, რომ—
გორც ადრე იყვნენ რუსებისა.”

იანიშვერსკისა და ჰაკეტს პანსიონში ორი წლის
განმავლობაში ყოფნამ—ილია იმდენად მთამზადა, რომ
1849 წლის ზემოღვიმაზე ივი მიიღეს თბილისის პირველი
გიმნაზიის თავისუფალ-მოსიარულე მსშენელად.

ბინად კი კვლავ ჰაკეტსთან დარჩა.

გიმნაზიას, რომელშიაც პანსიონიდან სასწავლებლად
გადმოვიდა ილია, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს.

1802 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მმართველ
კოვალენსკის ინიციატივით მოეწყო მეფის რუსეთის პირ-
ველი სკოლის სახეიმო გახსნა თბილისში.

კოვალენსკის მიერ შემუშავებულ დებულებით, პირველ
ხანებში სასწავლებელი ორქლასიანი იქნებოდა. პირველ
კლასში მოსწავლეებს უნდა გაევლოთ: რუსული და ქარ-
თული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება.
მეორე კლასში ორივე ენის გრამატიკა, კატებიზისი, საღვ-
თო და საერთო ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, არით-
მეტიკა, დარიგებანი და ცნობები ადამიანისა და მოქალა-
ქის მოვალეობათა შესახებ და ხატვა.

1803 წელს თბილისში ჩამოსულ ახლად დანიშნულ
კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს არც სასწავლებე-
ლი, არც მასწავლებლები და არც მოსწავლენი არ დახ-
ვედრია. ყოფილ მთავარმართებელმა კოვალენსკიმ გან-
მარტა, რომ მოწავლეებმა თავი დაანებეს სკოლის „ადგი-
ლობრივი ხალხის ველური ზნეობისა და მიუჩევლობის
გამო“.

ახალი მთავარმართებელი ველმოღვინეთ შეუდგა სას-
წავლებლის აღდგენას. 1804 წლის მაისის 31-ს მისი წა-
დილი აღსრულდა — სასწავლებელი იქმნა გახსნილი.

პავლე ციცინოვის მიერ შემუშავებულ პროექტით
სწავლა დილის 7 საათზე იწყებოდა. 11 საათზე ბავშვები
შინ მიღიოდნენ. ნაშუადღევის სამ საათიდან სწავლა ახლ-
დებოდა და გრძელდებოდა ექვს საათამდის.

1830 წლის მარტში „თბილისის კეთილშობილთა სას-
წავლებელი“ გადაკეთდა გიმნაზიად თავად-უზნაურთა შეი-
ლებისათვის, რომელსაც შემდევში თბილისის პირველ
გიმნაზიას ეძახდნენ (აწ ამხანავ სტალინის სახელობის
სკოლა).

1844 წელს კავკასიის მთავარმართებლად დანიშნული
მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვი გიმნაზიის მიზანდასახუ-
ლების შესახებ ჩერნიშოვს სწერდა: „... ადგილობრივ
ენის სწავლებას აქაურ სასწავლებლებში ღიღი მნიშვნე-
ლობა ექნება ჩვენთვის. გვეყოლება რიგიანი თარჯიმანები,
სხვადასხვა წოდების მკვიდრი დაუახლოვდებიან ერთი
ერთმანეთს. რიგიანი შესწავლა რუსულის ენისა მკვიდრ-
თაგან ხომ უფრო დიდ სარგებლობას მოგვიტანს, რაღ-
გან აქვე ვიშოვნით ნიჭიერ მოხელეებს, იმის მაგიერ რომ
რუსეთიდან დაეიძაროდ ხოლმე, მით უმეტეს, რომ ჩემდა
სამწუხაროდ, ამ დაბარებულებში ძალიან ცოტანი გამოდ-
გნენ სამსახურისათვის.“²⁴

მასწავლებელთა უმრავლესობა, რომელთა შორის უმე-
ტესნი რუსეთიდან იყვნენ მოწვეულნი, ვერ იდგნენ პედა-
გოვის სათანადო სიმაღლეზე. „რუს მასწავლებელთა შო-
რის — გადმოგვცემს მემატიანე სკოლისა — მეტად ყოფი-
ლა გავრცელებული ლოთობა და ამის შედეგად ხულიგ-
ნობა, რომლითაც განსაკუთრებული სახელი ორმა მას-
წავლებელმა გაითქვა — მალცოვმა და ლუბკინმა. ამათ
სიმთვრალით, გინებითა და ყვირილით მთელი უბანი
პეტონდათ აკლებული; ისინი რამდენჯერმე მსხდარან ჰაუპტ-
გახტში გამოსასწორებლად, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს,

მთავარმართებლის ტორმასოვის განკარგულებით ეს შის-
წავლებლები განსაკუთრებულ ბინაში მოათავსეს, ცერესის
მების ზედამხედველობის ქვეშ და მათ ჯარისკაცების მოუ-
ჩინეს დარაჯად.“²³

ცნობილი დიმიტრი ყიფიანი იმდროინდელ სასწავლო
რეგის თავის მემუარებში ასე ახასიათებს: „... მთელი
მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და
ამასთან ერთად-ერთი წესით გამოიხატებოდა, გაკვეთილი-
ბის სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად — მექანიკურად
და ყოველი დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავით
ცემა.“²⁴

„ქაზიონურ“ სწავლას, რომელსაც ფაქტიურად არაფი-
რი არ მოქონდა, ილია მაინც და მაინც არ აქცევდა დიდ
ყურადღებას.

სწორედ ეს აქვს მხედველობაში მის სკოლის ამხანაგს,
როდესაც სწერს: „გემნაზიაში ილია ნიჭიერ და გონება-
გახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დი-
დი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამხადებდა, და მარ-
ტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჭითად
შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას
შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის
ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ
ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო
ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა უსათუოდ
ზედმიწევნით.“²⁵

ყოველდღიურ ოფიციალურ „სწავლისაგან“ გულაცრუ-
ებული ილია მთელ თავისუფალ დროს კერძო წიგნების
კითხვას ანდომებდა და ამით ავსებდა ძველი სკოლის
ნაკლს.

გიმნაზიაში ყოფნის პირველ წელს ეკუთვნის ილიას
რომანი გიმნაზიის დირექტორის ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე

დემენტიევის ქალიშვილთან. არავინ იცის გამოეხმაურა
თუ არა კაბუკ პოეტის გრძნობებს ახალგაზრდა ქალიშვილთან.
დემენტიევი ერთ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილის მისამართა
წავლებელი იყო, 1839 წლის შემდეგ დირექტორის მოად-
გილე, ხოლო ორმოცდაათიან წლებში დირექტორი.

„რუსულ ლრამატიკას და ენას — სწერს იონა მეუნარგია
— ასწავლიდა დემენტიევი. ამან კარგად იცოდა თავის
ხელობა და მისმა შეგირდებმა ჩინებულად ისწავლეს რუ-
სული ენა.“²⁹

1849—1850 სამოსწავლო წლის ილიას სასწავლო ნიშ-
ნები სრულიად სახარბიერონი არ არიან:

IV კლასი

თავისუფალი მოსიარულე ჭავჭავაძე ილია:

საგნები:	შუალა თვიური:	გამოცდისა:	შუალა წლიურია:
საღვთო სჯული	3	4	4
რუსული სიტყვიერება	2	2	2
ქართული ენა	3	5	4
თურქული ენა	2	3	3
მათემატიკა	2	2	2
გეოგრაფია	3	3	3
ისტორია	3	2	3

შენიშვნა: დატოვებულ იქნეს იმავე კლასში.³⁰

შემდეგ წელში ილიამ ოდნავ გამოასწორა თავისი
ჩამორჩენა.

ამავე ხანებში პოეტის უფროსი და ნინო მითხოვდა
ნიკოლოზ აბხაზს.

საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილე-
ბაში ინახება პატარა ზომის მაგარ ყდაში ჩასმული ხელთ-
ნაწერი, რომლის ასოთხმოცდამერვე გვირდზე ილიას მა-
მის ხელით ჩაწერილია: „წელსა ჩენა (1851) თებერვლის
11 დღესა ასულმა ჩემმა ნინუცამ იქორწინა თ. ნიკოლოზ
აბხაზედ. თ. გრიგოლ ჭავჭავაძე.“³¹

თავი გეხეთი

ილიას გადასცლა მეზუთე კლასში. ილიას მამის მიერ მეორე ცოლის მოყვანა. ინცინდენტი ქაშუეთის ეკლესიაში. ილიას დისწული გიგო. წერილი ლექსად დისალში. უზრნალ „ცისკრის“ გამოცემა. ილიას მამის გარდაცვალება.

მეოთხე კლასში ორ წელს ყოფნის შემდეგ, ილია მფრიდავი იქმნა, გადაყვანილი.

ვერაცერს ვიტუვი მის სასწავლო წარმატების შესახებ ამ პერიოდში.

პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, ილიას მამამ მეორე ცოლის შერთვა განიზრახა.

„საპატარძლო — მოვკითხრობს ეკატერინე ავთანდილის ასული კრისანოვსკისა — საკმაოდ ხანგადასული ქალი გახლდათ; მაგრამ თავად გრიგოლს თურმე ფულსა და მზითებს დაპირდნენ და ქორწინებაზედ დაიყოლიეს.

ჯვრის წერა ქაშვეთის ეკლესიაში უნდა მომხვდარიყო. ჩვენიანები ყველანი მიპატიუებულები იყვნენ, და მეც საცემრლად გავეშურე ეკლესიისაკენ, მით უმეტეს, რომ ილია იქ მეგულებოდა და მისი შეხვედრა მწყუროდა.

მაშინ ილია გიმნაზიის მეზუთე კლასში სწავლობდა. მეუკვე ვიცოდი, რომ ილია დიდი წინააღმდეგი იყო მამის მეორედ ქორწინებისა.

როცა ეკლესიის გალავანში შევვდი, იქ საკმაოდ მოგროვილი ხალხი დამხვდა, რომელსაც უმეტესად კახელი

თავად-აზნაურობა შეადგინდა. ყველანი გაიცემირებოდნენ
ალაყაფის კარებისაკენ, საიდანაც მოელოდნენ მეფე დემიტრე და მარია
დოფალის შემოსვლას.

აგერ კადეც გაჩერდა ეტლი, გადმოვიდნენ იქიდან
მეფე-დედოფალი და ხელგაყრილი შემოვიდნენ ეკლესიის
ეზოში.

ამ დროს მოულოდნელად იჩინა თავი უცნაურმა სა-
ნახაობამ: ვიღერ მეფე-დედოფალი ეკლესიაში შესვლას
მოასწრებდნენ, ფეცრად გაჩნდნენ ხალხში ქეჩის ბიჭები,
რომელთაც ხელში ნაცრით საესე კალათები ეკავათ.

ეს ბიჭები ამ კალათების ქნევით ხალხში დარბოდნენ,
საშინელ მტვერს და კორიანტელს აყენებდნენ და თან ამ
ლექსს გაიძახოდნენ:

გოდორი და კალათა,
ბებერს რთავენ ქალათა;
გრიგოლ ჭავჭავაძესა
ჯვარსა სწერენ ძალათა!

ამ ამბით გაბრაზებულმა გრიგოლმა ეკლესიაში თვა-
ლების ბრიალით მიიხედ მოიხედა და რა დაინახა ერთ
კუნტულში განმარტოებით ატუშული, გულხელ დაკრეფი-
ლი თავისი შვილი, მცირე ხანს პატარძალი მიატოვა,
მარდის ნაბიჯით მისკენ გაემართა და მრისხანედ თითის
ქნევით უთხრა: „ეს სულ შენი ოინბაზობა, დამაცადე,
რა გიყო.“

ცოტა ხანს უკან მეც მივედი ილიასთან და ვეითხე,
ვისი მოხერხებული იყო ეს საქმე, რაზედაც მომიგო: „ჩუ-
მად, არავის უთხრა, მამის ყურამდის არ მივიდეს, ჩემი
საქმეა; რაც უნდა, ისა ჰენას.“³¹

ამავე ხანებში სოფელ კარდანახში მცხოვრებ ილიას
უფროს დას ნინოს შეეძინა ვაჟი — გიგო.

ამ შემთხვევაში დასთან ლექსად წერილის დასაწერად
ააღებინა ხელში კალამი, შემდეგში სახელგანთქმულოში და
რაღაც და საზოგადო მოღვაწეს.

აი თითონ წერილიც:

ჩემს საყვარელს და სასურველ ნინას,
წიგნსა მიუწერ თუ ფურს მისცემის სმენას.
შენის ლოცვისთვის ესტანჯამ მე ენას
შენთვის ღმერთსა ვთხოვ შევბას და ლზენას.
ღმერთმან ისმინოს ჩემი ზრახვანი,
რომე გიქარევოს შენი ტანჯვენი.
მაზინ მაღირსოს შენი ნახვანი
აი რა არის ჩემი ნატერანი.
იყავ მშვიდობით საჭირ ბედით ყოვლის სიკეთით.
ტკბებოდე ლხინით სიამოვნით ყოვლისა შვებით.
მაშინ ალტაცებული ვისიამოვნებ შენთან ხლებით
და ღმერთსაც მაღლობას შევწირავ დიდისა ქებით.
ამა წიგნთან გიძლვნით ჩალაუბნის ქებას,
თუ წარკითხვისთვის დართობთ თქვემს ნებას,
მრავალსა პოებთ მუნ შეცოდებას
და რაღაც ვიტიქრებ მის მოწონებას.
შენსა შვილსა ჩემსა დისწულსა გიგოსა,
მაგ ვარდის კონას დრამის წონას გვრიტოსა
ათასჯერაც ჩავტყულოპნი მის თვალებს ცევიტოსა
და მისთვის შემწეობას ვთხოვ მასა ვისთვის თეთრი იმოსა.
ბეგრსა მოგწერდი მარამა ენა არა მაქვს ტკბილია,
ჩემი ნალექსი სიტყვები გულისთვის მეტად ლბილია,
მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა ხელიც მაქვს დაღალულია
დაგროვი შენივე ძმაჲ მე გავეკვაძე ილია. ³²

ორმოციან წლებში საქართველოში გარკვეულად და-
ისეა საკითხი ლიტერატურულ ორგანოს გამოცემის უ-
ცილებლობის შესახებ.

ლუკა ისარლიშვილის გამოუქვეყნებელ მოგონების
ცნობით, „მანანა ორბელიანის სალონში იყო, რაც ცი-
კრის გამოცემას მიეცა დასაწყისი.

აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო
(ზარათაშვილი ნიკო), გიორგი ერისთავი, ისარილოვი, ბირ-
თველიჩი *), მალარაშვილი, ხან და ხან ყიფიანი და სხვა.

ერთ საღამოს თქვეს, მოდი გამოცეოთ და ის იყო:
ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა, აქ შეიტყო
გიორგი ერისთავზე, მოიწონა, შემწეობა მისცა უურნა-
ლის გამოცემისათვის” **.

მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე ჩავიდა განჯის
ცივ სამარეში, რომ წელთა განმავლობაში ნანატრ ნა-
ბეჭდ უურნალს, რომლის გამოცემის ერთი ორგანიზატორ-
თავანიც ის იყო, ვერ მოესწრო.

მხოლოდ 1851 წლის 27 აპრილის გაზეთ „კავკაზში“
მოთავსებულმა განცხადებამ აუწყა მკითხველ საზოგა-
დოებას:

„ამა ჩყნა ***“ წლისათვის, თანახმად უმაღლესის ნებისა
იქნება გამოცემული სასაჩვებლოდ წმინდა ნინოს ზავედე-
ნიისა, ქართულ ენაზედ სიტყვიერებითი უურნალი „ცისკარი“
ყოველს თვეში თითოს წიგნათ, რომელსა შინაცა იქნების
შეცულ ქართული სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვ-
ნება და სახლის პატრონობა. ფასი წელიწადში კ *** მანეთი,
ხოლო გაგზავნით ხ ****) მანეთი თეთრი ფული. მსურველ-
თა ამა უურნალისა ძალუძსთ მიიქცნენ თავიანთის თხოვ-
ნითა დროზედ ამა უურნალის რედაკციაში თფილისს,
სახლსა შინა წმინდა ნინას ზავედენიისა კუკიაში, რათა
რედაკციამ ძალიდუას დაბეჭდვა მისი საჭიროს რიცხვით
ეკვემდებართა. ამასთანავე რედაკციას აქტს პატივი და-
უმატოს, რომელ მსურველთა ამა უურნალში სტატიის

*) ლაპარაკია მიხეილ თუმანიშვილზე

**) 1851 წ.

***) 5 მანეთი.

****) 6 მანეთი.

დაბეჭედისა, ძალუქსთ გამოგზავნონ ესე ვითარი რუდა-
კირაში.

Редактор кн. Эристовъ.

1852 წლის იანვრის თვეში გამოვიდა დასახელებული
უურნალის პირველი ნომერი.

უურნალი არსებობდა ორი წლის განმავლობაში. სულ
გამოვიდა 24 წიგნი.

1852 წლის უკანასკნელ ხანებში ერთხელ კიბეზე ასვ-
ლისას ილიას მამა წაიქცა და ფეხი იტკინა, იარა კუდ
გადაექცა, რომელმაც იგი იშავე წლის 10 დეკემბერს
იმსხვერპლა კიდევც. 13. დეკემბერს „სოფელ ყვარელის
მებატონე“ დაკრძალეს მისი მეუღლის — მარიამის გვირ-
დით.

თავი მექასი

ცნობები ილიას წარმატებისა მეექტსე კლასში. დაცით
გავჭავაძის სახლობის გატაცება წინანდალიდან. მდევ-
რები. ილიას ძმის კონსტანტინეს მოკვლა. ჭავჭავა-
ძიანთ გადმოსცელა თბილიში. გიმნაზიაში ყოფნის უკა-
ნასკელი წლები. შხადება უნივერსიტეტში წასას-
ვლელად. პირობის შეკვრა სოლომონ ჭავჭავაძესთან.
ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული დებიუტი.

დადგა მეხუთე კლასიდან გადასვლის დროც.

ამ წელს ილიამ საკმაოდ იბეჭითა.

სამაგიეროდ შემდეგ წელში მან კვლავ შეუშვა ხელი
სწავლას.

თბილისის გიმნაზიის არქივში შენახული ცნობები
გვაუწყებენ:

1853 წელი. საქმე №-110. მექასი კლასის თავისუ-
ფალი მოსიარულე ჭავჭავაძე ილია.

ნიშნები: ნიჭი ანუ გულისყური	4
ბეჭითობა	3
ყოფაქცევა	4 $\frac{1}{2}$

საგნები: შუალა თვისური	გამოცდისა	შუალა წლისური
სალვოთ სჯული	2	4
რუსული ენა	5	5
ქართული ენა	5	4
ფრანგული ენა	4	4
ლათინური ენა	3	2
ალგებრა	4	2
გეოგრაფია	2	2
ისტორია	4	4 $\frac{1}{2}$

ოცდაათიან წლების მიწურულში დაღესტანში მური-დიზმის სახელით დაწყებული ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა ოუსეთის თვითმპყრობელობას, ორმოცდაათიან წლებში საგრძნობა-ლად გაიზარდა და გაფართოვდა.

შამილის მეთაურობით აჯანყებულ მთიელების ნაწი-ლები „ბარში ჩამოსელისას“ არმევდნენ, ანადგურებდნენ და სწვავდნენ მეფის ოუსეთის ბატალიონებსა და მათ სადგომებს.

ასეთ „დარბევის“ მსხვერპლი ხშირად იყვნენ ოუსე-თის მონარქიის ერთგულ ქართველ თავადთა აჯახებიც.

ამ უადად მე მინდა დავით ჭავჭავაძის ოჯახის დარ-ბევის ამბავი მოვიკონო... „ლექტი ჩამოვიდნენ მთიდან, გააპეს ალაზანი, მიუხტნენ წინანდალს, დასწვეს და დას-დაგეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი და ტყველ წაას-ხეს მისი შვილის დავითის სახლობა: ცოლი — ბატონი-შვილი ანნა ექვსის შვილითა; ცოლის და — ბატონიშვი-ლი ბარბარე — რძალი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა, თავის შვილით გიორგით, ფრანცუზის ქალი დრანსე და მოახლენი. ლექტმა ქარგად იცოდნენ დატყვევებულთა ვინაობა და ესენი პირდაპირ შამილს მიჰვარეს დარგო-ში. შამილმაც დიდი მატერიალური სარგებლობა გამო-ხადა, ამ ტყვეობას“³⁵.

ეს მოხდა 1854 წლის 3 ივლისს.

გატაცებულებს მოსაშველებლად მდევრები დაედევ-ნენ.

ფრანგი ქალი დრანსე ივონებს:

„მდინარე ალაზნის მოპირდაპირე მხარეზე გასვლისას ჩეენ რამდენიმე წუთით შეგვაჩირეს. იმავე ხანებში ჩეენს მახლობლად საოცარი განგაში ატყდა. უმნიშვნელო რიც-ვი ქართველებისა ლამობდა ჩეენს განთავისუფლებას.“

ისინი მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს კონვოის და
გაუმართეს მას სროლა. მთიელნი გაცილებით შეტანილი
იყვნენ რიცხვით, მაგრამ, ეშინოდათ რა მაშველთა უფრო როგორ
დიდი რაზმის მოსვლისა, მალე თავი დაანებეს ბრძოლას,
გადავვასურეს ნაბდები და გაიქცნენ³⁶.

ამ შეტაცებაში სხვა მდევართა შორის მოკლულ იქმნა
ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე.

ქმრის ტრალიკულად დაღუპვის შემდეგ ილიას რძა-
ლი — რუსის ქალი ვაჟიშვილითოურთ უკან დაბრუნდა
სამშობლოში. ბავშვი მალე დაჭრექდა. როცა ილიას
ძმისწულის ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა, იგი საგან-
გებოდ გაემგზავრა რუსეთს მის სანახავად, მაგრამ ქლე-
ქით სწრეულ ყმაწვილს დიდხანს აღარ უცხოვრია.

ოჯახის უფროსის მოკვლის შემდეგ, ჭავჭავაძენი თბი-
ლისში გადმოსახლდნენ და იცხოვრეს აქ ერთი წელი.

მაშინ ილიამ პანილონში ცხორებას თავი მიანება და
თავისიანებთან გადმოვიდა. სამაცადინოთ მას განუკუთვ-
ნეს საკუთარი ოთახი.

„ერთს წელიწადს ზამთარში, — მოგვითხრობს ელისა-
ბედ საგინაშვილი — ვცხოვრობდით ქალაქში. ილია გე-
ნაზიაში სწავლობდა, იმ ზამთარს ჩვენთან ცხორობდა,
თავისთვის საკუთარი ოთახი ჰქონდა. მეორე დღეს შევე-
დით, ვნახეთ, კრაოტი ჩასტებია. ისევ ისე წევს. ჩვენ
დავეკითხეთ, რატომ არ შეგვატყობინე, ან მოსამსახუ-
რეს არ შეატყობინე გაესწორებინა. იქანდინ თავაზიანად
მოგვექცა. რათ შემეწუხებინეთ, დაო, როდესაც ისე მწო-
ლიარესაც ტკბილად მეძინაო“³⁷.

გავიდა რამდენიმე წელი.

1856 წელს მერვე კლასში მყოფი ილია საბოლოო
გამოცდების ჩაუგარებლად სტოკებს გიმნაზიას და ემზა-
დება უნივერსიტეტში გასამგზავრებლად.

ამ ხანებს ეკუთვნის ილიას დროებითი გატაცება სოლომონ ჭავჭავაძის ასულ ელისაბედით.

ივანე მჭედლიშვილის ცნობით: „იმ დროს სოლომონ ჭავჭავაძის ოჯახი განთქმული იყო მთელს ყვარელში და კახეთშიაც, მასი ოჯახი არისტოკრატის ოჯახს წარმოადგენდა, განცხომით სკანდალის როგორც შეეფერება მდიდარ თავადიშვილს. ბავშვები იზრდებოდნენ გუვერნანტ-ქალების ზედამხედველობის ქვეშ“³⁸.

ამ „გატაცებით“ ისარგებლა ილიას მამიდამ მაკრინემ და სოლომონ ჭავჭავაძესთან შემდეგი პირობა შეჰქრა: რომ სოლომონ ჭავჭავაძე - გაუგზავნის ილიას თვეში ოთხ თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, ხოლოდ სამაგიეროდ, ილია რომ დაბრუნდება, უნდა შეირთოს მისი შეილი. ეს უილიოთ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილდა.“³⁹

1856 წელს ივანე კერესელიძემ გიორგი ერისთავის რედაქტორობით ორ წელს არსებულ ჟურნალ „ცისკრის“ განახლება განიზრახა და შესაფერის სამზადისსაც შეუდგა.

იმავე წლის სექტემბრის 12-ს ცენზორმა ნება დართო პირველი ნომრის მასალები დაებეჭდათ.

1857 წლის იანვარში გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ პირველი წიგნი, რომლის მეშვიდე გვერდზეც იყო დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ლექსი „ჩიტი“.

ეს იყო ოცი წლის ილიას პირველი ბეჭდილი გამოსვლა.

ხუთი თვის შემდეგ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი შენიშნავდა: „როგორც უწყიან პატივცემულთა ჩვენი ქართულ სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ მკითხველთა, ჟურნალის გამოცემა დავიწყეთ პირველის იანვრითგან ამა 1857 წელსა, მაშასადამე, ექვსი თვეა, რაც გამოდის ესე ჟურნალი, როგორც ხელავენ უფალნი, მკითხველნი, თავის დროს.

ამ დროების განვლაში რედაქტიას მიუღია სხვა და
სხვა პირთაგან ოცდა თხუთმეტ ლექსებამდე, ხოლო მოთხუთა
ხრობა ცხრამდენ, თხუზულებათაგან ზოგნი ერთნი დირთოთა
სეულ იქმნენ და დაიბეჭდნენ ჩვენს ურნალში.

ლექსებთაგან დავბეჭდეთ იმ გვარნი, რომელნიცა
ღირს არიან სახსოვრისა თავიანთის შვენიერის აზრისა
გამო.“

ამ „აზრით შვენიერ“ ლექსთა შორის, მოხსენებულია
„ჩიტი,“ თ. ი. ჭავჭავაძისა.

„სჩანს — განაგრძობს ურნალის რედაქტორი — რომ
თავის დროზედ შეწევნითა მღვთისითა, ჩვენი ურნალი
იქმნება წარმატებაში, და ამის მიზეზნი იქნებიან ვინა?
რასაკირველია, ზემოხსენებული პირი.“

მაშასადამე, რედაქტია მოვალეთ რაცხს განუცხადოს
უუგულითადესი მაღლობა თანამედროვეთა ჩვენთა მწე-
რალთა: ს. ალექსიევ-მესხიევს, დ. ბაქრაძეს, სოფრ. დო-
დავეს, თ. რ. ერისთავს, დ. მგალობელოვს, თ. დ. მაჩა-
ბელს, თ. ბ. ჩ., გ. კოლხიდელს, თ. ვ. ორბელიანს,
თ. ალ. ორბელიანს, გ. რჩეულოვს, ალ. საგანელს,
თ. ალ. ჩიქოვანს და თ. ილ. ჭავჭავაძეს.

გარნა ვთხოვთ არ დაგვაგდებდენ და კვალად გამოგ-
ზავნიდენ თავიანთა შვენიერთა თხუზულებათა, რომელ-
თაცა არ არის ეჭვი, რომ შესდგომიან დიდის სიყვარუ-
ლით, და ჩვენცა ჩვენის მხრივ მოვიზმარებთ ყოველსავე
ღონისძიებასა შეძლებისამებრ წარმატებას მივცეთ, ჯე-
რეთ კიდევ ახლად დადგენილი ჩვენი ცისკარი“⁴⁰.

ამ დღიდან ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე აღიარებულ
იქმნა მოწინავე ქართველ მწერალთაგანად, რომელიც
რამდენიმე წლის შემდევ შეიქნა მედროშე მე-19 საუკუ-
ნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურისა.

თავი მეზოდი

რუსეთის თეოტმპყრობელობა და სტუდენტობა, ილიას გამგზავრება რუსეთისაკენ. შეხვედრა, გრიგოლ ორბელიანთან. გამომშვიდობება „სამშობლო მთებთან“. ილიას ჩასვლა პეტერბურგში. ახლად ჩასულების გამგზავრება ვასილევის კუნძულზე.

რუსული რეაქციის ეანდარმულ ლექსიკონში სიტყვა „სტუდენტი“ ყოველთვის იყო სინონიმი პოლიტიკურად არა-საიმედო პიროვნებისა.

„ორთავიანი არწივის“ მსახურთა შიში და ზიზლი განსაკუთრებით ძლიერდებოდა ხოლმე, როცა სტუდენტური ქუდი ეხურა რომელიმე დაპყრობილ ქვეყნის შეილს.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში ამ დაპყრობილ ქვეყნების შეილთ მიერთა ქართველი ახალგაზრდობაც.

1857 წელს საქართველოდან გავიდა ქართველი მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, რომ უნივერსიტეტში ზიანებოდა მოწინავე იდეაბს და ალეფგინა გოორგი ერისთავის ივანეს მიერ „თერგდალეულობისათვის“ გატეხილი სახელი.


ამ ჯგუფში იყო ილია ჭავჭავაძეც.

ჭავჭავასიონის მთებზე ასელისას მათ შეხვდათ გრიგოლ ორბელიანი, რომელიც უერთვეულესი სამსახურისათვის „მისი უმაღლესობისადმი“ მორიგი ჩინით დაჯილდოვებული ბრუნდებოდა მეფურ რუსეთიდან.

„ჩენ რომ რუსეთს მივდიოდით — სთქვა ერთხელ ილიამ! — და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილის. გრიგოლი ფეხით



— ১৮৫৯ খ.



მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირლიმარე, დაფიქრებული, დაშორებით მოსდევდა მის ცუკა
ნელის ნაბიჯით ეკიპაჟი. ჩვენ რომ დავინახეთ პრეტრი რისი და
თვისის ელემენტით-კავკასიის მოებით და ღრუბლებით
გარშემოზღუდვილი, აღტაცებით ვსთქვით ერთმანეთში:
სწორედ ეხლა ამ დამშეიდებულ გულზე ლექსს რასმე
უწერს ამ მშვენიერს ბუნებასაო” ”.

„მამათა და შვილთა ბრძოლის“ პირველი „ლაშქრობა“
მოკრძალებულ მისალმებაში გამოიხატა, მაგრამ პირვე-
ლადვე აქ გაიყარა ის გზები, რომელმაც რამდენიმე წლის
შემდეგ ისინი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დარაბება.

როცა ნისლში ჩამჯდარშა კავკასიონში იწყო მიფარება
ჭაბუკ ილიას აღმომხდა სინანულით:

სამშობლო მოებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ეკრ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან იფლით გაუცრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, პე, მოებო, ბუნებითა შეუძლებული.
ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცენის თქვენთან მაშორებს.
ყოველი წუთი გარგავე-თქვენა და მეც მაობლებს...
აგერ თქვენც პერებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივ ვარჩევ... წუთიც... მხოლოდა ესპერეტ ციავსა ცასა
ამაღდ ვებრძევი მანძილსა და პერის სისქეს
და მოუსევენრად ვატანტალებ მწერას თვალსა ჩემს...
თქვენი მწვერვალი აღარ სჩანან და მშვენიერად ცას
აღარ უშკობეს ერთნაირსა ციაგს კამარას....
მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრებლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენს ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგილიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

მრავალდღიანი მგზავრობა პეტერბურგში ჩასვლით
დაგვირგვინდა.

ახლად ჩასულები ქალაქში შესვლისთანავე ვასილე-
ვის კუნძულისაკენ გაემართნენ ქართველ-სტუდენტებთან.

თავი მესვე

„მესამოცანების“ პეტერბურგი. შესასვლელი გამოცდები. ილიას ჩარიცხვა უნივერსიტეტში. იურიდიულ ფაკულტეტის კამერალური განყოფილება. სასწავლო საგნები. ლექციების დაწესება. კამათი კუბმისტერის შინ. სტუდენტთა საყვარელი პროფესორები. ლექციების სტუდენტთა ხელნაწერი ფურნალები.

„ქართველ „მესამოცანების“ — პეტერბურგი იყო ყველაზე რომანტიკული ქალაქი, სადაც მათ პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილურის ოცნების ეშბი გაუცვნიათ, სადაც პირველათ აყვავებულა მათი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი მძლავრი შთაბეჭდილება ლირსებია მათ ტვირისა და გულს, სადაც სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აუდგამო, სადაც ისინი ბედნიერნი და უბედურნი ყოფილან, სადაც მათ გრძნობას მძლავრი მღელვარება გამოუყლია, სადაც მათ უშრომიათ და პირველჯერ გამარჯვების ან რამარცხების კვამლით თავბრუდახვევიათ და განსაკუდელი გაუცვლიათ“¹².

1857 წლის ივნისის 20-ს ილიაშ უნივერსიტეტის რექტორის ემინ ქრისტიანესძე ლენცის სახელზე შემდეგი შინაარსის თხოვნა შეიტანა:

„მაქს რა სურვილი საბოლოო განათლების მისაღებათ მოვისმინო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კამერალურ განყოფილების სრული კულსი, უმორჩილესად გთხოვ თქანს აღმატებულებას

უნივერსტიტეტში შესასვლელად დაწესებულ გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩამოიცხოთ თავისუფალ მოსიარულება სტუდენტად”⁴³.

იმავე თხოვნაში ილია უნივერსიტეტის რექტორს აუწყებს: „საცხოვრებელი ბინა მაქეს ამაღლების პროსპექტზე ვაჭრის ცოლის კოლჩინას სახლში №-122.”

შესასვლელ გამოცდების ჩაბარებისთანავე ილია ჩარიცხულ იქმნა იურიდიულ ფაკულტეტის კამერალურ განყოფილების თავისუფალ მოსიარულე სტუდენტად.

ახლად ჩარიცხულმა ილიამ იმავე წლის ნოემბრის პირველს სწავლის ფულად შეიტანა 25 მანეთი.

იურიდიულ ფაკულტეტის კამერალური განყოფილება უნივერსიტეტში გაიხსნა 1843-1844. იქადემიურ წელში. ამ დარგზე შემსვლელს უნდა შეესწავლა: ევროპულ ქვეყნების სახელმწიფოებრივი უფლებანი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, კანონები ფინანსებისა და სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა შესახებ, კანონები მართლმაჯულების შესახებ, პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა, ბუნების მეტყველება, ტექნიკოგია, აგრონომია, არქიტექტურა. რუსული ენა არა რუსებისათვის სავალდებულო იყო ჟველა ფაკულტეტებზე.

დაიწყო ლექციები, მაგრამ სტუდენტები ჯერ კიდევ პირადათ არ იცნობდნენ ბევრ თავიანთ პროფესორებს.

„ერთხელაო, — იგონებდა შემდეგში ილია — ერთს იაფ კუნძულისტერსკში ესადილობთ ახალი (ჩარიცხული) ქართველი სტუდენტები, ვასილევის კუნძულზედ, იქვე უნივერსიტეტის ახლოს და რაღაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვივარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზრდა რუსიცა, რომელიც იმავე საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და საღილობდა.

იშასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარეთ შევეკამათეთ და
არა დაუთმეთ-რა, თუმცა მეტად გარევევითა და ესადად
განმარტა საკამათო საგანი.

მეორე დღეს — შევხელოთ და ის კაცი კათედრაზედ
კია გამოჭიმული უნივერსტიტეტში და ლექციასა კითხუ-
ლობს. აუდიტორია გაქედილია სტუდენტობითა, ვიკით-
ხეთ მისი ვინაობა და პირ-კატაკი გვიცა, როცა გვითხრეს
სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენ-
ციისაო” **.

მაგრამ ეს იყო ლექციების კითხეის დასაწყისი. გავიდა
სულ მცირე ხანი და ახლად ჩარიცხული ქართველი სტუ-
დენტობაც, აყვა რა საერთო ფეხის წმის, დადიოდა არა
მმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფა-
კულტეტურ წესების მიხედვით იყო სავალდებულო, არა-
მედ მოელი სტუდენტობისათვის საყვარელ პროფესორე-
ბის ლექციებზე, ასეთები იყვნენ: ნ. ი. კოსტომაროვი,
მ. მ. სტასიულევიჩი, ვ. დ. სპასოვიჩი, კ. დ. კაველინი და
სხვანი.

„მათ მოსასმენად — იგონებს ერთი ქართველი სტუ-
დენტი — იმდენი სტუდენტობა გროვდებოდა, რომ უდი-
დესი აუდიტორია, მეთერთმეტიც კი ვერ იტევდა ყვე-
ლას: ნახევარი საათის შემდეგ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა.

ზოგჯერ პროფესორი იძულებული იყო სააქტო დარ-
ბაზში გასულიყო, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა
ფეხზე ისმენდა ლექციას. ლექციების სპეციალური ხასე-
ათის მიუხედავათ, მაინც გული გვწყდებოდა, რომ ლექ-
ცია უფრო დიდხანს არა გრძელდებოდა.

კოსტომაროვის ლექციებზე, მაგალითად, ლაპარაკი
იყო რუსეთის ისტორიის წყაროებზე, მატიანეთა სხვადა-
სხვა დროს გადაწერილ ნაშთების ღირსებებსა და დეფექ-
ტებზე. მიუხედავად ამისა, არა მარტო ფილოლოვები,

არამედ ჩვენც, იურისტები და მათემატიკოსებიც კი, გა-
რაცებით ვიქერდით ყოველ მის სიტყვას, ყოველ წერტავას
ლმანს და ვცდილობდით ჩაგვეწერა ჩვენს რვეულში.

ჩვენ გაქენებული ცხენივით მივხტოდით, რასაკირ-
ვილია ფეხით, ლექციაზე, რომ ადრიან მიგვესწრო, კა-
თედრის მახლობლად აღილი დაგვეჭირა და პროფესო-
რის ყოველი სიტყვა ჩაგვეწერა; ლექციის დროს სულგა-
ნაბული ვუსმენდით პროფესორს, რომ ნათქვამიდან არ
გამოგვპარიყო არც ერთი სიტყვა იმაზე, რაც ისე გვიტა-
ცებდა და გვიზიდავდა, ხოლო გვიტაცებდა რუსული მე-
ცნიერების მომავალი ბედის გაეგბა. ხშირად სიტყვებიდან
გამოგყავდა ის, რის თქმაც პროფესორს შეიძლება სუ-
ლაც არ მოსვლია 'აზრად და რასაც არავითარი კავშირი
არ ჰქონია თანამედროვე ცხოვრებასთან' ⁴⁵.

ნიკოლოზ ივანეს-ძე კოსტომაროვი (1817-1885) მა-
შინ უკვე მოხუცებული იყო „მაგრამ მაინც დიდი ენერ-
გიით კითხულობდა თავის საგანს: ხმა მაღლა, გარკვევით,
თითოეულ სიტყვას კვერს ჰქონებდა ხოლმე, და ექვსასი
თუ შვიდასი მისი მოწიფე ისე გულმოდგინეთ უგდებდა
მას ყურს, რომ ბუზის ფრენასაც კი შეიტყობდა იმ სი-
ჩუმეში“ ⁴⁶.

მიხეილ მათეს-ძე სტასიულევიჩი (1826-1911) კითხულობ-
და კურსს საშუალო საუკუნოების ისტორიიდან: „ეს სულ
სხვანაირად კითხულობდა — სწერს ქართველი სამოცია-
ნელი — მსწრაფლათ, სხარტულათ, გადაბმულათ, რო-
გორც გინახავთ დიპლიპიტო, ისე არაუნდებდა სიტყვებს.

რამდენათაც ლრმად ჩაფიქრებული შებლშეკრული იყო
კოსტომაროვი, იმოდენათ მოშაქრული, ალერსისმთხო-
ვი და მომლიმარე იყო სტასიულევიჩის პირისახე. პირვე-
ლი თბითქო არც კი გვიშავდა, თითქო მარტო თავის-
თვის ან მარტო ვიღაც სხვებისთვის კითხულობდა თავის

ლექციას. მეორე კი თვალებში შემოგვჩერებოდა, თითქო
ჩვენ დათანხმებას ან მოწონებას თხოულობდა: იმას ნიარებული
დაგ იმისთანა გამოხედულება ჰქონდა, თითქო მოწმედი გორ
მოვავდით — ხომ კარგად ვკითხულობო, ხომ ენა არ
მიჩერდებაო, ხომ უცბად ვლაპარაკობო, ხომ კაი ბიჭი
ვყოფილვარო?

პირველი უხეიროთ იყო ჩატული: ძველი მოდის პე-
რანგი ეცვა, რომელსაც აქა-იქ ფოლაქები აქლდა, ვახე-
ხილი და მოფლაშული სერთუკი, შემოცვეთილი და გა-
წვირიანებული შარვალი. მეორე კი გაწევაპარტებული იყო:
სარკესავით ბზინავდა მისი თოვლის ფერი პერანგი, და
ახალ იხალი ტანისამოსი ტანზე ისე ადგა, როგორც
კალაპოტზე.

ერთი თითქო საგანგებოთ იმისთანა სიტუვებს ამბობ-
და და იმისთანა აზრებს გამოთქვამდა, რომ ჩვენ ყველას
უნდა გვწყენოდა. ეხლაც მახსოვეს ერთი იმისთანა აზრი.
„ეხლანდელ დროში — თქვა, — მოდათ მიღებულია წინ-
წაწევის, პროგრესის აზრებით. სჯობია უკან დავიხიოთ,
ჩვენი ძველების ცხოვრებას დავუკეირდეთ და ჭკუა იმათ-
გან ვისწავლოთ.“ შეუპოვრათ გვესროლა ეს აზრი, სწო-
რეთ იმავე სახით, როგორათაც რაინდი მოწინააღმდეგეს
გამოითხოვდა ხოლმე შუბის სროლით: აბა შემეტაკეო,
დამცი თუ ბიჭი ხარო.

სტასიულევინი კი ტკბილათ ლიპერალობდა: თავის
საგანს აქა-იქ ჩაურთავდა ხოლმე იმისთანა ფრაზას, რომ-
ლითაც იმდროინდელ შემთხვევებს ან გარემოებას შეეხე-
ბოდა. იმისთანა რასმე იტყოდა, რაც ჩვენ ყველას ტვინ-
ში გვიჯდა, და რისი გამოთქმაც ჩვენ ყველას გვიამებო-
და, გულს მოგვიფხანდა, დაგვაქმაყოფილებდა. მთელი
უნივერსტიტეტი ტაშს დაუკრავდა მაშინვე, აღტაცებით
ხრიალს დაიწყებდა“ ⁴⁷.

რუსეთის სისახლის სამართლის და საპოლიციო კანონების კითხვას იმ ხანად განავებდა ვლადიმერ კავკაციური სპასოვიჩი (1829-1906). „ეს — იგონებს კავკაციური თერგდალეულთაგანი — სულ სხვანაირად კითხულობდა. რუსულ ენაში ხშირათ წაუბორძისყდებოდა ხოლმე ფეხი, და საჭირო სიტყვების მოძებნა ან გახსენება ხშირად უტირდებოდა.

მაგრამ რა ეშხიანათ კითხულობდა მაინც, რა ცეცხლით, რა გულითადი ოღტაცებით. ყველაფერს იყიშებდა რაკი ლაპარაქს დაიწყებდა. ვნებით აივებოდა მისი თვალები, ეშმაკი გაუჯდებოდა ტანში, და ლოთიანათ, შეუპოვრათ იწყებდა ის მაშინ თავის აზრების მტკიცებას. და როცა ერთიანათ ყველა თავის საბუთებს ან დამტკიცებებს ამოგვილავებდა, უკან დაიხევდა და შემოავიჩრდებოდა გაწუმებული: ნუ თუ ეხლაც არ დარწმუნდიო? იყო ერთ მოუსევნარ ხელების შლაში, თითების ტრიალში, ცმაცურში.

ხან საზარელი ხეით შესძახებდა წარმოდგენილ აზრის მოწინააღმდეგეს, თითქო ტან-და-ტან შეტაკებია მტერს და მისი განგმირვა უნდაო. ხან ჩურჩულით, ნაზი, დაბალი ხმით ლაპარაქობდა, თითქო საყვარელს ეველრებოდეს — თუ გიყვარდე დამიჯერე, გამყევი, მასიამოვნეო. ისე გავიტაცებდა, ისე დაიპურობდა შენ აზრს, ისე გამუშავებდა ტვინით, რომ დაქანცული, დალალული, თავ-ბრუდახვეული გამოზიოდი მის ლექციიდამ, მაგიერათ არც ერთი მისი ნათქვამი აზრი აღარ დაგავიწყდებოდა სიკვდილამდინაც“⁴⁸.

განსაკუთრებულ ნდობითა და პატივისცემით სტუდენტთა შორის სარგებლობდა პროფესორი კონსტანტინე დიმიტრის-ძე კავკაციური (1818-1885), რომელსაც ზემოდ ნახსენები პროფესორი სპასოვიჩი ასე ახასიათებს: „თა-

ვის სპეციალობით — იურისტი, ტემპერამენტით კი მძაფ-
რი ქრიტიკოსი და რეფორმატორი, კ. დ. კაველინი
თითქმ იმისთვის იყო შექმნილი, რომ მდგარიყო მოძრაო-
ბის სათავეში და ყოფილიყო ხემძღვანელი პროგრესიული
პარტიისა. ძალა ადამიანის მიზიდვისა, რომელიც მას გა-
აჩნდა, იყო უშველებელი; მას თანაბრად ემორჩილებოდ-
ნენ ადამიანები სხვადასხვა ასაკის, ნაციონალობის, ხელო-
ბისა და „კლასებისა“¹⁰.

სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობის გამო თით-
ქმის ყველა ლექციებს სტენოგრაფიის მცოდნე სტუდენ-
ტები იწერდნენ და პროფესორების მიერ შემოწმებისა
და გასწორების მერე ეს ლექციები მეორე კვირას ლი-
თოგრაფიულად გადაღებული, და ხანდახან კი სტამბა-
შიც დაბეჭდილი გამოდიოდა ხოლმე.

1857 წლის განმავლობაში სტუდენტები ორ ხელნაწერ
ურნალს სცემდნენ: ერთს ერქვა „Вестник свободных
мнений“ და მეორეს, გერცენის წაბაძვით, „Колокол“-ი.

თავი გესხი

„პაწაწა“ კავკასიელების „წრე“, პროფ. დ. ი. ჩუბინიშვილი. ბატონიშვილ სალომეს წიგნთსაცავის გადაცემა ქართველ სტუდენტთა წრისათვის. სტუდენტთა პირველი ნაბეჭდი კრებული. სტუდენტთა სალაროს ჩამოყალიბება. „სოვერემენიდა“. უფრო. „ცისკრის“ მიღება პეტერბურგში ივანე კერესლიძისაგან. მოლაყბეს „სალაყბო ფურცელი“. ილიას წერილი გ. სულხანიშვილისადმი. ილიას გატაცება პოლიტიკურ და კონომიურ საგნებით. ჭრის წიგნების კითხვა. ევროპიულ კლასიკოსების თარგმნა.

პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს საკუთარი წრე ჰქონდათ, რომელსაც „პაწაწა“ კავკასიელების „წრეს“ ეძახდნენ.

სულ ჩეარა ამ წრის შეთაური და ხელმძღვანელი გახდა ახლადჩასული ილია ჭავჭავაძე.

ნიკო ნიკოლაძე იგონებს:

„ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი წიგნებისა და ხელთნაწერების კარგა გვარიანი ქოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას; ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიზანშეწონილია დაარსდეს რამდენიმე სათვისტო ქართველების, სომხების, რუსების, ლეკების და სხვათა და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირით“ ⁵⁰.

წრე გატაცებული ყოფილა რომანტიზმით და ერთიანად „ჩაყურყუმავებულა“ ვალტერ-სკოტის თხუზულებებში.

„პარიზა“ ქავეკასიელების წრეს“ სათანადო ლიტერატურით ამარაგებდა ქართველი პროფესორი დავით იოსების-ძე ჩუბინიშვილი (1814 — 1891), რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში 1855 წლიდან ქართულ ენისა და სიტყვიერების ქათედრას განაგებდა.

ახლო ხანში წრემ პროფ. ჩუბინიშვილისგან ბატონიშვილ სალომეს კუთვნილი წიგნთასაცავი მიიღო.

საინტერესოა ხელშერილი ქართველ სტუდენტებისაგან პროფ. ჩუბინიშვილისადმი მიცემული ბიბლიოთეკის მიღებაზე, რომელშიაც ვკითხულობთ:

„ქართველი სტუდენტი გაძლევთ თქვენ, უ. პროფესორს დაიით ჩუბინოვს, ამა პირობის წერილსა მაზედა, რომელ მივიღეთ თქვენგან, ნაჩუქები განსვენებულის მეფის ასულის სალომესაგან, შემდგომნა ქართული წიგნებია:

1. ქილილა და დამანა.
2. სამართალი ვახტანგისა, მეშეიდე ნაწილი.
3. საქართველოს ისტორია ვახუშტისა.
4. ღრამატიკა ანტონი კათალიკოზისა.
5. ღრამატიკა გაიოზისა.
6. საქართველოს ცხოვრება ვახტანგ ბატონიშვილისა.
7. ოიტორიკა მიშიტარისა.
8. ცხენის კარაბადინი.
9. კატელორია ანტონი კატალიკოზისა.
10. ქართლის ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა და სებნია ჩხეიძისა.
11. ყარამანინი.
12. გამარტება აპოკალიფტისა.
13. ცელების ტყაოსანი, დაბეჭდილი ვახტანგ მეფისაგან.
14. სიბრძნე სიცრუვის ზღაპარი.
15. სახარება, მხედრულად დაბეჭდილი.
16. გურამიანი.
17. ღვეჯისიკონი საბა ლრმელიანისა.
18. ვახტანგ მეფის სრული სამართალი.

19. ასტრონომიია, განკუნანგ მეფისაგან ნათარგმნი.
20. სპარსული სახარება, ქართული ასოებით დაწერილი.
21. ცელიზარიანი.
22. განკუნანგ მეფის ლექსები.
23. მოგზაურობა ტიმითესი.
24. მარქ-ავტოლინი.
25. რუსულ-ქართული ლექსიკონი.
26. საქრისტიანო სწავლა გაითხისა.
27. მოთხოვობა დიდის კონსტატინე მეფისა და სსვადასჩვა სიტუები.
28. მარხვეისათვის დიდი ვასილისა.
29. მახმადიანთა სიტყვის გება.
30. შობის გალობა, დაბეჭდილი.
31. სადღესასწაულო.
32. უამნი.
33. დავითიანი.
34. საღმითო კურთხევა.
35. პარაკლიტონი.
36. გარლამის სიტყვები.
37. საღმითო მსახურება.
38. სამოციქულო.

და ეს ზემოხსენებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ჩვენს ბიბლიოთეკაში დარჩებიან დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ: დავით ბაქრაძე, ალექსანდრე აბხაზი, პავლე თუმანიშვილი, ნიკოლოზ ლოლობერიძე, ლუარსაბ მალალაშვილი, ესტატე მალალაშვილი, გრიგოლ მალალაშვილი, მიხეილ ლამაზაშვილი, ნიკოლოზ ალექსი-შვილი-მესხი, კონსტანტინე მეფისაშვილი, ივანე ისარლიშვილი, დავით ლოლობერიძე, მიხეილ ანდრონიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე, პეტრე ალხაზაშვილი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ბასილ სავანელი, ბასილ თუმანიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი, სიმონ აბაშიძე, ალიოზ მიზანდარი, აკაკი წერეთელი, მიხეილ ტერდავითოვი, ილიკო სერებრიაკოვი” ⁵¹.

ხელთნაწერ უურნალების გარდა 1857 წელს კონი-
ვერსიტეტში გამოვიდა სტუდენტთა ნაბეჭდ კრებულის
„Студенческий сборник“-ის პირველი გამოშვება.

8. ი. სუბოლმინოვის რედაქტორობით გამოცემულ
კრებულის პირველ გამოშვებაში მოთავსებული იყო: ნაწ-
ყვეტები საკანდიდატო შრომებიდან ბარონ გებერტეინზე
კორელაციის, გრიგოროვიჩისა და ნოვიკოვის, თარგმანი
გებერტეინის „Commentarii“ — ანონიმოვისა, პანინის
გამოკვლევა: „ნოვგოროდის 1471 წლის სასამართლო სი-
გელის შესახებ.“

ნაბეჭდ კრებულის გამოცემამ საშუალება მისცა სტუ-
დენტებს 1857 წლის დასასრულში დაეარსებიათ ღარიბ
სტუდენტთა დასახმარებელი სალარო „Касса бедных
студентов“-ის სახელწოდებით.

სალაროს ხელმძღვანელობდნენ კრებულის სტუდენტი-
რედაქტორები და ცალკეულ ფაკულტეტთა მიერ არჩეუ-
ლი დებუტატები.

შედგენილ იქნა წესდება სალაროში შემოსულ თანხის
გასანაშილებლად. სალაროს არსებობის წყაროებს შეად-
გენდა: 1) შეძლებულ სტუდენტთა შენატანები და 2) უნი-
ვერსიტეტის დარბაზში სტუდენტთა კონცერტების მოწ-
ყობით ანაკრეფი თანხა.

„პატარა კავკასიელების წრის“ წევრნი პეტერბურგის-
უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად გულისფანუ-
ქალით მოელოდნენ ხოლმე „სოვერემენიკის“ მორიგ ნო-
მერს.

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო —
იგონებდა შემდეგში ერთი ქართველი სტუდენტი — რა-
ნაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ,
ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი
უურნალის („სოვერემენიკის“) ახალი წიგნი გამოვიდოდა-

რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაულალვეობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რა ანარეგულაცია რათ გვიფერქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება.

რამდენი გრძელი, ბოლო-მოულებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსცენრათ უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ უურნალს ჩვენში მოუხდენია.

ვინ დათვლის ამ ხანგრძლივ ბეღნიერების, აღტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაბეჭდილ ქვალს”⁵².

არა ნაკლები აღლვებით ათვალიერებდნენ ქართველი სტუდენტები ივანე კერესელიძის მიერ პეტერბურგში გამოგზავნილ „უურნალ „ცისკრის“ მორიგ ნომრებს, მაგრამ „რაზნოჩინურ“ ინტელიგენციის გავლენის ქვეშ მყოფ ქართველ ახალგაზრდობისათვის „ცისკრის“ პოლიტიკური კრედო სრულიად მიუღებელი იყო.

ამიტომ ქართველმა სტუდენტებმა გადასწყვიტეს წერილია ეცნობებიათ ივანე კერესელიძესათვის უურნალის „მიმართულების“ შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

„ივანე კერესელიძე — სთქვა ერთხელ აყავიშ — „ცისკრის“ გეიგზავნიდა პეტერბურგში, ჩვენც მაღლობა მოვწერეთ და ვთხოვეთ, რომ Нашравление გამოეცვალა. კერესელიძემაც „დაგვიჯერა“ და ზღვით გამოგვიგზავნა უურნალი“⁵³.

1857 წლის ნოემბრის თვიდან უურნალს ოდნავი გაუშვილესება დაეტყო. „ცისკრის“ მეთერთმეტე წიგნიდან მოლაპებემ დაიწყო თავის „სალაყბო ფურცლის“ ბეჭდა,

რამაც ალფროთოვანებაში მოიყვანა პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა.

გაბრიელ სულხანიშვილისადმი გაგზავნილ ჩერიძლშითია ილია ამის გამო სწერდა:

.... ამას წინეთ მცონია შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ. ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეოქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო: რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგა დაიწყო ქართველის უბედულებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი ცისქრის ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინვალენ სხვათა შორის...“⁵⁴

ილიას ეჭვი იყო სრულიად მართებული.

მოლაყბეს ხელმოწერით დაბეჭდილი პირველი სამი წერილი არ ეკუთვნილა გაბრიელ სულხანიშვილს. ამ ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებული იყო საქმაოდ ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი მიხეილ ბირთველისძე თუმანიშვილი (1818–1875).

უნივერსიტეტში სასწავლო საგნებთან გაცნობისთანავე ილიას გულისური პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა საგნებმა მიიზიდა.

„უნივერსიტეტში ილიას — სწერს მისი ერთი თანამედროვე — განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური საგნები აინტერესებდა. მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრ ძველ ქართულ წიგნებს“⁵⁵.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხასიათის და ძველ ქართულ წიგნებს მაღე ევროპიელი კლასიკოსებიც ამოუდგრენ გვერდით.

საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფონდში ინახება ხელთნაშერი პოემა „ქაქო ყაჩალის“ პირვანდელი ვარიანტისა სათაურობა „მოთხრობა ქიზიყელისა“, რომლის ოთხი უკანასკნელი გვერდი უკავია ილია ჭავჭავაძის ჩანაშერებს რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ეს „ჩანაშერები დღემდე ყურადღება მიქცეულნი არ იყვნენ ალბათ იმიტომ, რომ დასახელებული პოემის პირვანდელი ვარიანტი თავდება 22 გვერდზე, რის შემდეგ მოდიან შეუვსებელი ფურცლები. ბოლოში კი მოთავსებულია ილიას დღემდე უცნობი ჩანაშერები.

ეს „ჩანაშერები“ წარმოადგენენ ილიას მიერ პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის პერიოდში წაეთხოელ და დამუშავებულ წიგნებისა და სტატიების ერთ ნაწილს.

მომყავს ეს სია ქართულ ენაზე, მაგრამ ყოველგვარ ცვლილებათა გარეშე:

„დეკარტი 1596.

ბეკონი 1560.

მეზერე-ლუდოვიკი XIII

1843 წლისა:

ოტენ. (ესტვენიე) ზაპისკი. 1) უორე-ზანდის: „სახლის მდივანი“; 2) გოფმანის მოთხრობა: „ცერიდენა ცახესი, ზედმეტსახელად ცინობერი“, 3) უორე-ზანდის რომანი: „ეაკ“, 4) დიკენსის: „თავგადასავალი და ცხოვრება მარტინ ჩელზვიტისა,“ 5) (მისივე) „ნიკოლოზ ნიკლბი“, 6) „ბარნები როდე“, 7) თარგმანი გიორგედან სტრუვოვშჩიკოვისა, 8) ნაწყვეტი „ფაუსტიდან“ თ. ტ. ლ. (ოტენე-სტვენიე ზაპისკების მეექვესე წიგნი), 9) ტორკვატო-ტასსო,

„გეოთეს დრამა“ თარგმანი იახონტოვისა (ოტერ. ზაპ. მერვე წიგნი), 10) უძველეს ხალხთა ხელოვნების განვია-
თარებისა და შენახვის ირგვლივ „ი. ი. კრონებერგისა და შილერის „ვილგელმ ტელისა“, თარგმანი გ. მილლერის
(მეორე წიგნი).

„ჰამლეტი“ თარგ. ვრონჩენკოსი 1828 წ. „მაკბერი“
თარგმანი მისიერ. „ჰამლეტი“ თარგ. კრონებერგისა. შექს-
პირი თარგმანი როსკოვშენკოსი.

1. „ლიტერატურნოე პრიბავლენიე კ რუსკომუ ინვალიდუ
1839 (ტ. მეორე გვ. 189-196) სტატია ი. ი. კრონებერ-
გისა.

2. „ლიტერატურნაია გაზეტა“ სტატია „ჰამლეტი
პოლევოის მიერ გასწორებული“ ა. ი. კრონებერგისა (მთარგ-
მნელი „ჰამლეტისა“ და შექსპირის „მეთორმეტე ლამისა“)
„უურნალ ნაროდ. პროსეცეშენია“ 1848 №-60 „რო-
მაულ ტრალებიების ბედზე.“

„პოეზის მეცნიერება ანუ მიმართვა პიზონებს“ ქვ.
(ინტ) ჰირაციუს ფლაკისა, მ. დმიტრიევისა. მოსკოვი,
1853.

სოვერემენნიე 1847 წ. „კოსტუმებზე“ ნაბატები პანფ-
კისა: „ბერძნები და ბერძენი ქალები ანტიკებში“ 1844;
„სცენები ანტიურ ცხოვრებიდან“ 1843.

„ათენის რესპუბლიკის ისტორია პიპარხის მოკველიდან
მილტიადის გარდაცვალებამდე,“ ს.-პეტერბურგი 1848.
სამი გენეალოგიური ტაბულითა და ატიკის რუქით. თხს.
მ. კუტორგისა.

„მსოფლიოს მექანიკური თეორია“, ოტ. ზაპ. აპრილი
1859 წ.

ემილ ჟირარდენი *) „უურნალ დი კონესანს იუტილ“,

*) ამ სატყვის შემდეგ ტექსტი დაწერილია ფრანგულ ენაზე.

Легкая Панорама Чечни и Терека
в Аксуевском., 1874. Сепия. Альб.
и бумага. 0873.

Trichocarenum Liebm. 1850, No. 45
subsp.

Umano, Arp. 1866 Peony
one year old. Umano, 50 miles
Munich, C. Hennigeyer, 1868.
Engelmannia ciliata Madia
sparsa. Korporan. Bremekam.
Dr. A. H. Kyngsford.

Whitmania rufa Meigen, varior., Oboz.
Bon. Argonaut. 1859, p. 22. —

Brevotyphlops 18582., Aegidius varia,

- Siècles, voyage dans l'outre-mer, sciences
naturelles, Musée de l'Amérique,
Almanach de Trenet, Rentrées à la
casse, la Pêche, Vérités administratives et finan-
cieres et financieres (1859). Le Bon
et le contre (1858). Le bon et le ma-
uvais (1850). Les politiques au contraire
(1854) ou la liberté (1852).

„მიუხე დე ფამიი“ „ალმანაკ დე ფრანს“, „პანტეონ ლიტერატურ“, „ლა პრეს“, „ქესტიონ ალმინისტრატივ ეფურაციანისიერ“, (1858), „ლე პურ ე ლე კონტრ“ (1848), „ლე ბიენეტრ იუნივერსელ“ (1850), „ლა პოლიტიკ იუნივერსელ“ (1852), „ლა ლიბერტე“ (1852) „კურს დიუდრუა ნატურელ“, პარ უფორუა.

„ლა ლიბერტე“ 1858, „ლე ლევუარ“ „1857“. ⁵⁶

ევროპიულ მწერლების თხუზულებებთან გაცნობას მოყვა მათი ნაწერების თარგმნა.

1858 წლის თებერვლის 9-ს ილიაშ სთარგმნა ვალტერ-სკოტის „რა ტებილ არს ოდეს“, იმავე წლის 12 თებერვალს შილერის „ცრემლთა შინა ნუგეში“, ხოლო 23 თებერვალს კი ბაირონის „სტიროდეთ“.

თავი მეათე

უფროობა. ოცნება სამშობლოში დაბრუნებაზე. პეტერ-ბურგი ილიას დახასიათებით. სიღარიბის მოწმობის წარდგენა და სწავლის ფულისაგან განთავისულება. წერილი წენი ანტონიკაშვილისადმი. ილიას ლექსი „დამბეჭდის შეილისათვის სამდერელი ნანა“.

ბრწყინვალე პეტერბურგის გართობათაგან ნივთიერ ხელმოკლეობის გამო განდგომილი და გულდაწყვიტილი, თან სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებაში გართული ილია ერთ თავის მეგობარ ქალს კერძო წერილში შესჩივის:

„ჩემი ამბავი რა მოგწეროთ? ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში.

უხ! ხანდისხან რა უბრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თავვები შადგებიან ხოლმე ყალყზედ, თითქო ძალათ დაცარიელებულს ჯიბეში.“

მაგრამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგეშს ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ ვი-შინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მშე მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცილით მიპასუ-ხებს ხოლმე: პაპა შენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ შენი ჯიბე მაინც არ გათბავო.

მეც თავს გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შავყურებ პირია ცას, თითქო იქიდამ მოველოდე გაქ-ლიბულს ჭრელ-ჭრელ მანეთებს; მაგრამ თქვენც იცით

ცას რა რიგათ სძულს ვერცხლი, მაშასადამე, ლოდნა ჩე-
მი ციდამ ფულისა ამაოა ⁵⁷.

ამასვე სწერს ილია თავის უფროს დას:

„ჩემ ჯიბეში ნეტაი ჩამოგახედა, რა ამბავია.

რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვს, რომ მეტი
არ იქნება. ღმერთმანი ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოკრავენ
ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს. ისეთი მოწმენდილია
იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზე არ იქნება ისე.

ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძლე ყბედობით.
ისეთი ლაპარაკი ჰურდნიან და ყვარებია ჯიბე ცარიელო-
ბას, რომ ველარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ
ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონაეურია
პირის მთქნარებით და თავის ქვექით ნაცარ-ქექიას ზღა-
პარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბაისელ
ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს.

სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ! პეტერბურლი
ისევ პეტერბურლია, ცივი ქვით მოსიპული და უზარმაზა-
რი, ახალი ამბები არა არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის
მეტი, მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია” ⁵⁸.

იმავეს ატყობინებს ილია თავის მეორე მევობარ ქალ-
საც: „ეს პეტერბურლი საშინელი უდიდესი ქალაქია,
ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევა, მაგრამ ჩემთვის კი
სულ ფუჭეა, მისთვის რომ ყოველ ქამს და ყოველ წუთს ჯიბე-
სთან მწყრალათა ვარ, და აბა ჯიბის მწყრალობით ფე-
ხსაც ვერ გადასდგამს კაცი.

რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურლი, მერწმუნე, შენს
იქლემივით კოზაკთან კოლაკს არა ემჯობინება და ჩემს
ყვარელს ხომ რა თქმა უნდა.

ომ! ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო
გახლო დამაგდოს საღმე, თუნდ მუნნ და საძაგელ ჩალა-
უბანში ვაჩინაძიანთ საფლობელოში, ან თუ არა ჩემ წყლი-

ან ყვარელის შარაში. რა მაღლობელი ვიქნებოდი იმ
კუდიან ეშმაკისა” ¹⁹.

ეს მუდმივი უფლობა იყო იმის მიზეზი, რომ 1858 წლის
წლის იანვრის 15-ს ილია ჭავჭავაძემ თხოვნა შეიტანა
უნივერსიტეტში სწავლის ფულისაგან განთავისუფლების
შესახებ და თხოვნასთან ერთად წარადგინა სიღარიბის
მოწმობა გაცემული თელავის მაზრის მიერ.

უნვერსიტეტის მართველობა შეეკითხა სწავლა-განა-
თლების მხრუნველს.

იმავე წლის იანვრის 16-ს სწავლა-განათლების მხრუ-
ნველმა დაადგინა: „განთავისუფლებულ იქმნეს სტუდენტი
ილია ჭავჭავაძე ლექციების მოსმენისათვის დაწესებულ
საფასურის გადახდისაგან” ²⁰.

იმავე წლის ივლისის თვის დასაწყისში ილიამ სრული-
ად მოულოდნელად მიიღო წერილი ნენე დიმიტრის ასულ
ანდრონიკაშვილისაგან. ამ ბარათმა უალრესად აღაფრთო-
ვანა ივი.

იმავე 1858 წლის 13 ივლისს დაწერილ საპასუხო
წერილში ილია დასახელებულ აღრესატს სხვათაშორის
სწერდა:

„არ ვიცი, როგორ გამოვსთქვა ჩემი სიამოვნება თქვე-
ნის წიგნით გაღვიძებული? ყოველი სიტყვა უხმო და უაზ-
რო იქმნება გამოსათქმელად ჩემის სიამოვნებისა.

გმადლობ, საყვარელო დაო, რომ ერთი წლის გან-
შორებამ არ დავავიწყათ თქვენ, როგორც მწერთ, პატა-
რა ძამია, რომელისაც გულშია ღრმად მარხია თქვენდა-
მი პატივისუმა და ნათესაური სიყვარული.

გმადლობ ღმერთსა, მშვიდობით ხართ ყველანი ჩემი
ნათესავები; ყვავდით, ყვავდით და გამრავლდით, ჭავ-
ჭავაძის ჩამომავლობავ.

მწერდით, ელენეს ამბავი მომწერეო. როგორათაც
ელენე, აგრეთვე მისი შეუღლე ილიკო სასახლეში დიდის
პატივით მიიღესო, ძალიან პატივით, რომ მეტი არ შეიარავა
იძლება, ასე ამბობენ კარგადაცა ცხოვრობენ, მაგრამ
ებლა ძალიან შეწუხებულები არიან ორნივ თავის ქალის
სიკვდილზედ...

სხვა რა დავიყბედო, არ ვიცი. ჰო მართლა! ეგ ვინ
მადამა გაგრძნიათ ყვარელში, ბარაქილა ყვარელო! ვერა
უყრებთ, კვირაში ორჯელ ვეჩერი ვის გაუგონია ყვარელ-
ში. ქვეყნის უბედურებას დახე! ყვარელში. ვეჩერები!?.
არ გაუწყოს ლმერთი ყვარელს და ტეატრებიც არ გაი-
ჩინოს და არ დაამარცხოს რუსეთის სატახტო ქალაქი.
დაიღუპა ქვეყანა, ყვარელში ორჯერ კვირაში ვეჩერი?

მიამა სიძე დიმიტრის დიამბევობა, ჰო! დიამბევი მე-
გობარიი ჯიბისა, ჩემსავით კი არ იყინვებს ჯიბეს; თქვენ-
მა ნენეჯან მზემ, რომ ვხუმრობ, ისე გასაცინებლად გით-
ხარით; დიამბევობის და ჯიბის მეგობრობა ვის გაუგო-
ნია; ნუ გეწყინებათ, როგორც ჭავჭავაძე ტყუილს არ
იტყვის, ისე დიამბევიც ქრთამს არ აიღებს” ⁶¹.

წერილის დასახელებულ პირისადმი გაგზაუნისთანავე
ილიამ გადასწუფიტა დაეწერა „დიამბევის შვილისათვის
სამღერელი ნანა“ და განზრახეა ახლო ხანში შეასრულა
კიდევ.

„შენახულია შხოლოდ დასაწყისი სტრიქონები ამ ლექ-
სისა:

დიამბევის შვილს ნანა, პატარა დიამბიკოსს,
გაიზრდება დედ-მამის სალხენად, სადიდებლად...
ვით მამა ქრთამს იღებდა, შეიღმაც რომ ისე იღოს,

თავი მეთერთხმეტი

გაცნობა ჩაიკოცსკის ასულთან. პირველი სტუმრობა. მუნდირის ამბავი. ილიას ლექსი „ქემი თარი არა ლი“. საუმოვერსიტეტო სესიები. მხადება გამოცდებისათვის. სესიებზე მიღებული ნიშნები. ილიას გადაყვანა მეორე კურსზე. არდადეგები. ზაფხულის ტარლევოში გატარება. პუშკინის თხზულებათა თარგმნა. ორიგინალური ლექსები.

უნივერსიტეტში ყოფნის პირველ წელსვე ილია გაეცნო და დაუახლოვდა გენერალ ჩაიკოვსკის ასულ სოფიოს*).

ახალ გაცნობილთა შორის უახლოეს დროში მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რომელიც მალე ტრფიალებაში გადავიდა.

„პეტერბურლში, — სწერს კოხტა აბხაზი, — ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ.“

მასსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვეონდა, და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა, არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა

*) ილიას ბიოგრაფები ერთხმად აღიარებდნენ თითქოს ეს სოფიო იყო და ცნობილ კომისიის მ. ი. ჩაიკოვსკისა. კომისიის მიტორის ბიოგრაფიასთან გაცნობისას გამოირკვა, რომ ილიას სატრფო არ არის მისი და, (იხ. კომისიის მ. ჩაიკოვსკის სამტომიანი გამოკვლევა „Жизнь Петра Ильича Чайковского“.)

ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოუცადოს, როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს. — ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავალწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას” ⁶².

1858 წელს პეტერბურგში ილია ჭავჭავაძე სწერს ლექსის რუსეთის თვითმშერობელზე.

ამ ლექსის დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ ორი უკანასკნელი სტრიქონი ⁶³.

ჩემს მიერ დასაბეჭდად გამოტანილი ლექსი, რომელსაც ილია „ჩემი თარი არალის“ ეძახის, აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის (1839 — 1913) მიერ პეტერბურგში შედგენილ პატარა ზომის ყავისფერ მაგარყდიან ხელთნაწერ ლექსთა კრებულში, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გადმომცეს დროებით სარგებლობისათვის.

კრებული ანუ „ქართველ მწერლების თხუზულებაები“, როგორც მას ქ. ლორთქიფანიძე ეძახის, ისსნება ილია ჭავჭავაძის ნაწერებით, რომელშიაც შეტანილია პოეტის 31 ლექსი და პოემა „კაკო ყაჩალი“; მას ბოლოში ქ. ლორთქიფანიძის ხელითვე გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: „ავტოლრაფილან სწორედ გადაწერილია და შესწორებული. — 27 მარტს 1862 წ. ქ. პეტერბურლი. ქ. ლორთქიფანიძე“.

აი თითონ ლექსიც:

(მიძაძვა ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი)

ჰე, ძმანო! წეტავი ჩვენა, პარი არალი.
 დღეს მოგვეცა შვება-ლშენა, თარი არალი.
 მამულისა სიყვარულმა
 ძმობა გულში ჩაგვიყენა.
 რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
 ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
 ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
 თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.
 მინდა ვსთევა, კალაში მამე,
 ცენზორო, დასტური დამე,
 მონება კაცი არ შეშევენის,
 ქრისტეა ამის მოწამე.
 ცარმა რა ერთხელ ინება
 მორგმულ კაცის დამონება,
 თვის სხეული კერძად დასვა,
 სული ეშმაკთ მიანება.
 ჰე, ძმანო! ჩვენ მას განუშორდეთ,
 ჩვენ ჩვენ მამულს ვეპატრონეთ;
 ქართველს ვაწევენოთ ქართველობა,
 მერე თუნდა დავიხოცნეთ.
 თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
 მტერი წინ ვერ დაგვიდგება;
 ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
 ან მოჰკლამს, ან შეაკვდება.
 თუ ჩვენში ძმობა იქნება,
 საქმე არსად წაგვიხოთება.
 აგრე თვით დიდი ენობი
 თავის ზღაპრით მემოწმება.
 ჰე! ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,
 წინა წაეიდეთ გაბედვით.
 ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
 თვისის ბრმა წინასწარ წედვით.
 დავეხსნათ ჩინის ძებნასა,

ემაგ ფუტსა დიდებასა;
 ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს
 და ჩვენ კი — გამარჯვებასა.
 ვემსხვერპლოთ ქრისტიან მცნებას,
 ვაშოროთ ქართველი მონებას.
 ქართველის უბრალო მადლობა
 გვერჩივნოს ყოველ დიდებას.
 ჰე, ძმანი! ოქვენც მეთანხმებით
 ამგვარის აზრის სსენებით.
 სიბრივების კარი გავტეშოთ.
 მონარქთა გამოჯავრებით.
 ამა სოფლისა ცხოვრება
 განყოფით არ იპოვება.
 ვინცა ძმობით არ ყოფილან,
 მათ მოხვედრიათ მონება,
 მაშ მოდით ისევ ძმობითა,
 დრო გაფატაროთ შრომითა.
 მამულს სიცოცხლე შევწიროთ
 შვილურის ერთგულებითა.
 თუ დავესწრათ გაზაფხულსა,
 ჩვენგან ნაოეს აღმოსულსა.
 მეტი ჯილდო რალად გვიჩდა
 თუ ქსევრეტი მამულს გაფურჩქვნილსა.
 ჰე, ძმანი! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,
 თუნდ სამოთხე მით დაუკარგოთ,
 მიიარცხუების სიმღერა
 თვით ჯოჯოხეთს შემოვძახოთ.
 ქართვლის ქვეყნისა ვართ შვილნი,
 ქართვლის ძუძუთი განრდილნი.
 მაშ მოდით, ქართველნო, ძმობით, ჰარი არალი,
 ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით, თარი არალი.

დადგა საუნივერსიტეტო გამოცდების დროც.

„მოახლოვდებოდა ეგზამენები — იგონებს ერთი სტუ-
 დენტი — და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ლამეში
 18 — 20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს,
 რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია“ *.

ეხლაც ასე მოხდა.

მთელი წლის განშავლობაში კერძო წიგნების კითხვა-
ში გართულმა ილიამ წლის დასასრულს გამოცდების
ჩასაბარებლად ენერგიული მზადება დაიწყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის „უწყება იურიდიულ
ფაკულტეტის 1857/8 აკადემიური წლის დამატებითი
გამოცდების შესახებ“ გვაუწყებს ილიას მიერ გამოცდებ-
ზე მიღებულ ნიშნებს:

თ. ილია ჭავჭავაძე:

სახელმწიფოებრივი უფლება	4
რუსეთის კანონმდებლობის ისტორია . . .	4
ლგოს მეტყველება	5
ზოოლოგია	3
ფსიქოლოგია	5 ⁵⁵

გამოცდების დასრულებისთანავე ილია ჭავჭავაძე გა-
დაყვანილ იქმნა იურიდიულ ფაკულტეტის კამერალურ
განყოფილების მეორე კურსშე.

1858 წლის ივნისის 4-ს ილიამ დასწერა ლექსი „სიმ-
ღერა“ და დასტოვა პეტერბურგი.

იმავე წლის 20 ივნისს იგი პეტერბურგიდან ოცდაათი
კილომეტრით დაშორებულ ცარსკოე სელოს მახლობელ
სოფელ ტიარლევოში სწერს ლექსს სათაურით „მეც შევს
თვალებს“.

მთელი ივლისი და აგვისტო ილიამ ტიარლევოშივე
გაატარა.

აქ დაიწყო მან პირველად პუშკინის ლექსების თარგ-
მნა. ამ პერიოდს ეჭუთვნის მის მიერ პუშკინიდან თარ-
გმნილი შემდეგი ლექსები: „ქეშმარიტება“, „ანგელოზი“,
„წინასწარმეტყველი“,

თარგმნილ ლექსების გარდა იმ ზაფხულს ილიამ დას-
წერა: „გიყვარდეს“, „ლოცვა“, „უცხოეთში“, „სიზმარი“,
„ლოთის რჩევა“, „როდემლის“, „პავლოვსკის პარკი“ და
„ოდეს დემონი“.

თავი მათოჩავი

დაპრუნება პეტერბურგში. ახალი ლექსები. „აჩრდი-
ლის“ პირვანდელი ვარიანტი. ლერმონტოვის „ჭავი-
აბრევის“ თარგმნა. „ცისკარი“ ჯოჯონეთის გარია და
არა ცისა“. ილია და მუსიკა. „ქალური ვერცხლისა
ქამარი ვამომიგზავნე ხანჯლითა“. ილიას მია თემური.
საჯარო ლექციები. წერილი ანიკო ვაჩინაძისადმი.

პეტერბურგში გამგზავრების წინ ილიამ უურნალ „ცის-
კარს“ გიორედან თარგმნილი „ბედა მქალაგებელი“ გა-
დაუგზავნა.

1858 წლის ოქტომბრის 26-ს იგი უკვე პეტერბურგ-
შია და ჩაიკოვსკის ასულთან შეხვედრით შთაგონებული
სწერს:

ვიზილე სატრფო: იგი ცრემლს ჰდოვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა.
მის ცრემლი დამტკარს ვარდს დასჭიოდა,
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა.
მოვიდა სხვა დღე, — განქრა მის დარდი.
მას ხელთა უბყრა სხვა ტურფა ვარდი,
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჭლიმოდა —
და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა.

დასახელებულ ლექსს მოყვნენ: „ერთხელ სჯდა ჩემ-
თან“, „მარტო მიეცურავ“, „დაე თუნდ მოვედე“,
„ქართველის დედას“, „მაშინ დავსტებები“, „როცა შევ-
ურებ“ (ჰეინედან), „ლოყიო მომეპყარ“ (ჰეინედან),
„ბევრი ვიტანჯე“. „ს...ს“, „მითხარით რისთვის“ და
სხვა ლექსები.

დადგი 1859 წლის იანვარი.

ილიამ ამ თვეში დასწერა ხუთი ლექსი და პოემა „აჩრდილის“ პირვანდელი ვარიანტი.

მარტის 16-ს ილიამ დაასრულა ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ თარგმნა.

ამავე ხანებში მოვიდა ივანე კერესელიძისეული „ცისკ-რის“ იანვრის ნომერი, რომელშიაც იყო დაბეჭდილი ილიას „ბედა მქადაგებელი“.

დისადმი გაგზავნილ წერილში ილია ამის გამო სწერდა: „იანვრის ცისკარში ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ არ გსურებოდა ახლა მაგას დაგაბეჭდინებდი იმიტომ, რომ ჩენი ცისკარი ჯოჯოხე-თის კარია და არა ცისა“ ⁶⁶.

პოეზიისა და საერთოდ სიტყვა-ქაზმულ მწერლობით გატაცებამ იმდენად მიიპყრო ილიას გულისყური, რომ მას ნაკლები დრო რჩებოდა დრამატიული ხელოვნებისა, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებისათვის.

„დიდებულ დრამატურგების — სწერს არტურ ლეისტი — შექსპირისა და შილერის წაკითხვას უპირატესობას აძლევდა, ვიდრე სცენაზე ხილვას მათის ნაწარმოებისას, თეატრებშიაც ხშირად არ დადიოდა. ოპერაზე იშვიათად დადიოდა, ფორტეპიანოს ხმას ან კონცერტს უგულოდ ისმენდა“ ⁶⁷.

ამასვე აღასტურებს ილიას უახლოესი მეგობარი კოხტა აბხაზიც.

„საზოგადოთ — გადმოვცემს იგი — მუსიკას არა სწყალობდა, და არც ესმოდა. მე იმისი მარტო ერთი სიმღერა მასხოვს, ხშირად ოთახში მოლოდასა სცემდა და უცნაურის კილოთი ლულუნებდა:



Английский лорд,

Свободен и горд

ГАРМОНИЯ
СОВЕРШЕНСТВО

რომანი ჩაიკოვსკის ქალთან კვლავ გრძელდებოდა.

1859 წლის მარტის 18-ს ილია თავის უფროს დას
ნინოს შერილით ემუდარებოდა:

„ერთი რამა მაქვს შენოვის სათხოვარი და თუ გიყ-
ვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს ამისრულე.
ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯ-
ლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე ნინუცი, ნუ გამამტ-
ყუნებ იმ ქალთან. მერე უნდა იცოდე რა ქალია! იმათ
ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-
მამა ჰყავს რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი
სულის ჭირიმე ნინო, საალდგომოთ გამომიგზავნე, ვიცი
რომ გიყვარეარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს,
მაგრავ ჩემი სიყვარული გაგაბედვინებს“ ⁷⁰.

არ ვიცით, შეასრულა თუ არა ილიას თხოვნა ნინო
აფხაზისამ.

იმ ხანად პეტერბურგშივე კადეტთა კორპუსში სწავ-
ლობდა ილიას უმცროსი ძმა თემური.

დისადმი გაზავნილ ბარათში ილია არ ივიწყებს ძმის
აშშავიც აუწყოს მას.

„თემურ ძალიან კარგათ არის, გაიხარე ნინუცი, კარ-
გი ჭკვიანი ძმა გვყავს, ღმერთმა აცოცხლოს; მარტვა
ერთი არ მომწონს თემურში, ძალიან ფიქრიანი არის“ ⁷¹.

1859 წლიდან სტუდენტთა კონცერტების მართვე-
ლობა გადავიდა სტუდენტ რედაქტორებისა და დეპუ-
ტატების ხელში.

რადგან შეძლებულ სტუდენტთა შენატანები და უნი-
ვერსიტეტის დარბაზში სტუდენტთა კონცერტების მოწ-
ყობით ანაკრეფი თანხა ვერ აქმაყოფილებდა სტუდენტთა
სალაროს მოთხოვნილებას, ამიტომ სალაროს მართ-

ველობაშ გადასწუყიტა უნივერსტიტეტის დარბაზში მოეწყო
ყო ფასიანი საჯარო ლექციები.

-ლექციები უნდა წაეკითხათ პროფესორებს.

1859 წლის ზამთარში მოეწყო შემდეგი ლექციები:

ა. ვ. ნიკიტენკოსი ოქმაზე, „დერუავინისა და მის დრო-
ზე“, გ. მ. სტასიულევიჩისა „მე-17 საუკუნის დასასრულის
საფრანგეთის პროვინციალური ყოფის შესახებ“ და
ნ. მ. ბლაგოვეშჩენკოსი „იუვენალისა და მისი სატირების
შესახებ“.

საუნივერსიტეტო დარბაზი ველარ იტევდა დამსწ-
რებებს, შემოსავალი იყო საკმაოდ დიდი.

იმავე წლის აპრილის თვეში ილია თავის მეგობარ
ანიკო გაჩნაძის ქალისაგან ლებულობს წერილს.

საპასუხო ბარათში ილია მას სწერდა პეტერბურგიდან:

„ათასჯერ გმადლობ, დაო ჩემო, რომ აქამდინ კიდევ
გახსოვარ. შენმა წიგნმა ისე მასიამოვნა, რომ თითქმის
გადმომასახლა შენ შშენიერ კოლაციი და სულ დამავიწყა
ეს ოხერი ცივი ქვეყანა, სადაც ჩემმა ბედმა გაღმომაგდო.
გმადლობ ლერთსა, მშვიდობითა ხარ.

ქალო! რა დაგემართა ერთი ქმარი ვერსად იშოვნე.
აგერ ლიზა ჯამბაკურიანიც გახდა, მალე ·შვილიც ეყო-
ლება. შენ კი ისევ ისე გაჩნაძის ასული ბრძანდები; მარაშ
ნუ გეშინიან, იჯექ ზღვის პირს და, როცა იქნება, შენკი-
ნაც ბედი დაქქროლებს თავისის ცელჭის ნიავით.

ამას წინად სოსიქოს წიგნი მომივიდა. ძალიანაც მია-
მა, ბევრ რაღაცებსა მწერდა და იმ რაღაცების შორის
მოიწერა, რომ შენ ერთხელაც კიდევ მოგეწერა ჩემთან
წიგნი, მარამ შენ ნუ მომიკედები, არ მომსვლია შენგან
ერთის წიგნის მეტი, რომლისა პასუხსაც ამ უამად გწერ.

სოსიქო მწერდა, რომ ვაპირობ რუსეთში წამოსვლა-
საო. არ იქნება ურიგო რომ წამოვიდეს: ხომ იცი, საყ-

ვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ ქვეყანაში გამოსა-
დევი ბრა არის რა, მაშასადამე, ცოდვა არის სწავლის
მსურველს არ მისცენ საშუალება...

მომიტევე წიგნის სიმცირეზე და წინდაუხედავ ბლაჭ-
ვაზედ, ეხლა ავეჩარები და მერე ბევრ ბევრ რაღაცებს
მოგწერ და გასიამოვნებ.

ეინძლო ჩემო კარგო დაო ანიკო, არ დამივიწყო; ხომ
იცი ჩემი ყოველი მონათესავე რა რიგად მიყვარს და
თქვენც ნუ დამაგდებთ უყმაყოფილოდ. ყველამ მიგულეთ,
როგორც უერთგულესი ძმა” ॥

თავი მესამეზი

ილიას ავადმყოფობა. თხოვნა გამოცდების გადა დების შესახებ. გამომგზავრება საქართველოში. ავადმყოფობისაგან მომჯობინება. ცხოველ სურათების წარმოდგენა თბილისის გიმნაზიის დარბაზში. კონტა აბხაზის ჩამოსკლა. ილიას წასვლა მის სანახავად კართუანაშში. შეხვედრა ყაჩალ გაუჩარაშეიღლთან. ილია მონადირე. სოლომონ ჭავჭავაძისაგან მიღებულ თანაის გადახდა. ჯანმრთელობა აღდგენილ ილიას დაბრუნება პეტერბურგში.

1859 წლის მაისის თვეში ილიას მოულოდნელად სისხლის ღებინება აუტყდა.

ავადმყოფობამ ხელი ააღებინა გამოცდებზე.

22 ივნისს ილიამ უნივერსიტეტის ინსპექტორ ფიც-ტუმ ფონ ექსტედტს ასეთი ხასიათის თხოვნა მიართვა: „შეულ მაისის თვეში, და განსაკუთრებით კი მის უკანასკნელ რიცხვებში ვიმყოფებოდი რა ავად, მე არ მქონდა შესაძლებლობა გამოცხადებულიყავი 28 მაისს სასოფლო მეურნეობის გამოცდაზე. გაუწყებთ რა აღნიშნულს და გირდგვენთ რა საექიმო მოწმობას, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ეს გარემოება მხედველობაში როგორც საპატიო მიზნი“ ¹³.

თხოვნასთან დართულ ექიმის მიერ გაცემულ მოწმობაში ვკითხულობთ:

„ეძლევა ესე ს. პეტერბურგის უნივერსტიტეტის სტუდენტს თავადს ილია ჭავჭავაძეს მასში, რომ 1859 წლის



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი



ოდის ქავეგაძე თავის საფეხულის და მეცნიერების წიგნის (კუთხით ხელშემოსილ მისამართი)

მთელი მაისის თვის განმავლობაში ვწიმლობდი აფად-
მყოფს, რომელიც სისხლს ილებდა გულიდან და, ფუმტა
სენია იქლო ახლა, წამლობამ არგო, მაინც საბოლოო კონკა
გამოჯვანსაღებისათვის საჭიროა სამხრეთის ჰაერით ა.

თხოვნა გამოცდების გადადების შესახებ იქმნა შეწ-
ყნარებული.

ილია მაშინვე წამოვიდა საქართველოში ჯანმრთელო-
ბის აღსადგენად.

მოკეთებულმა ილიამ რამდენიმე ხანი თბილისში
დაჰყო.

ზაფხულში ილიამ გადასწუვიტა გაემართა ცოცხალი
სურათები. სურათები უნდა ყოფილიყო სამღვთო წე-
რილის ძევლი ალთემისა და „მეფე ლირის“ ტრაგედიისა.
შემოსავალი მოხმარდებოდა რაიმე სასარგებლო საქმეს.

„გიმნაზიის დარბაზში — ივონებს პეტრე უმიკაშვილი —
სცენა მოაწყო. თბილისის წარჩინებული ოჯახების და
თავადის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა ამ სურათებში,
რომელიც კარგის ესტრეტიურის გემოვნებით, ხელოვნებით
და აზრიანად იყო შედგენილი.

თბილისის საზოგადოება ინტერესით მოაწყდა და დი-
დის ქმაყოფილებით დარჩა. ვინ იფიქრებდა, რომ ქარ-
თულის თეატრის განახლების მიზეზი უნდა გამხდარიყო
ისევ ის დარბაზი, რომელშიაც პირველი ქართული წარ-
მოდგენა პნახა . საზოგადოებამ. ცოცხალ სურათებისა-
თვის გაკეთებული სცენა კარგა ხანს ხელ-უხლებელი დარ-
ჩა გიმნაზიაში

როცა „ლირი“ წარმოადგინეს, ილია თამაშობდა მე-
ცე ლირს.

მოთამაშენი იყვნენ: ე. გ. საგინაშვილისა (ოპოჩინი-
ნის ქალიშვილი), მ. ჭილაშვილისა, ერისთავისა, ელენე
ჩოლაყაშვილისა, ბარათაშვილისა (ამილახვრის ასული),

ოპოჩინინის ასული, სიდამონ ერისთავისა, მირსკისა (გრი-
შინსკის ასული), თამამშევისა, ბარათაშვილის ქალიშვი-
ლი, სოფიო ბარ. ნიკოლაის მეუღლე (ალ. ჭავჭავაძის
ასული), ქეთო გურგენიძისა, გაბრიელ სულხანშვილი,
ვანო თუმანიშვილი, დავით ჭავჭავაძე, ნიკ. ჭავჭავაძე.

იმავე წლის სექტემბრის 27-ს პეტერბურგიდან არდა-
დაგებზე სამშობლოში დაბრუნდა სოფელ კარდანახის
მცხოვრები კოხტა აბხაზი.

ამ ამბის გაგებისთანავე ილია ჭავჭავაძემ გადასწყვი-
ტა სწვეოდა მას.

კარდანახის გზაზე ილიას დახვდა ყაჩალად გავარდნი-
ლი გაუხარაშვილი.

„ერთხელ ილია — გადმოგუცემს კოხტა აბხაზი — მო-
დიოდა ჩენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახური
ბიჭი.

უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებუ-
ლი გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხამს ვინაო-
ბა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის
გვარი, უკითხავს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდა,
ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხა-
ზიანთა მიდისო.

მაშინ ყაჩალს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვი-
ვია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია
კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩენსა მოვიდა, „ბარბა-
ცებდა და ბარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიშოთ: „და-
მაძინეთ, დამაძინეთო.“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის
თავგადასვალი, ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი
სულ ბატონებს სწყევლის და აგინძესო“ ⁷⁵.

კოხტა აბხაზის ცნობითეუ გაუხარაშვილს ი. ჭავჭა-
ვაძისათვის უამბნია თავის წარსული და ყაჩალად გა-
ვარდნის ამბავი.

ილია ორივე ხელით დასწევდა უსამართლობისაგან გა-
მოქცეულ ტყეში შეხიზნულ ფირალის თავგადასავალს. და აუგა
გადასწყიტა მხატვრულ თხშულებად ექცია იგი.

მეგობრები მხიარულად ატარებდნენ დროს.

ილია, რომელსაც საზოგადოთ ნადირობა არ უყვარ-
და, ერთხელ სანადიროთ გაჰყეა კოხტა აბხაზს.

„მასსოვს — სწერს ზემოთნასსენები პირი — ერთხელ
ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროთ. დავ-
დექით ნომრებზე. ჩემ გვერდით, ცოტა მოშორებით იდ-
გა ილია. ხშირი და დიდი ტყი იყო. ძალლებმა უკვე
დაჰყევეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაცი-
ცებით ველი ნადირს, და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ
გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მიფარე-
ბული, რომ ვერ ვესროდი; ილიასთვის კი ირემი მეტად
მარჯვეთ იდგა.

ვეღი გულის ფანცქალით; რომ აი ეხლა ვავარდება
ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ.
კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაი-
ფრუტუნა და გადახტა და გაქქრა ტყეში. გავქანდით
ილიასკენ, დავუწყე ჯავრობა: „ქაცო, რა პქენი, რატომ
არ ესროლე“. — „უხ! ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი
რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმე-
ტებდიო...“⁷⁰.

ილიას მეტად აწუხებდა სოლომონ ჭავჭავაძესთან მა-
მიდა მაკრინეს მიერ შეკრული პირობა. ამავე ზაფხულს
ილიამ გადასწყვიტა უკან დაებრუნებია. სოლომონ ჭავ-
ჭავაძის მიერ მისთვის პეტერბერგში გამოგზავნილი
ფული.

იგივე კოხტა აბხაზი სწერს: „ერთ დღეს ალავერდში
მიედიოდით ხატობაში და აი აქ, გზაში ილიამ სიხარუ-
ლით მითხრა: „კოხტა, მომილოცი, გავათავეო, სოლო-

შონშა აი ამდენი ფული გამომიგზავნა პეტერბურგში.
ახლა მამიდა შაკრინეს დავავალე, სულ მთლად დაუბრუ-
ნე მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ.“ მეტად ნასიამოვნე-
ბი იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოი-
შორაჟა.”

ჯანალდგენილი და მოკეთებული ილია შემოდგომაზე
დაუბრუნდა უნივერსიტეტს.

თავი მეთოთხმავი

ავადმყოფობის გამო გადადებულ გამოცდების ჩაბარება. ნიშნები. ილიას გადაყვანა მესამე კურსზე. გაუჩარაშვილის ნამიბობის დამუშავება. ესკიზები: „კოლა”, „ძაჭო”. მოთხრობები: „გლახის ნამიბობი”, „კაცია ადამიანი”. „კოლოკოლი” და პეტერბურგის ახალგაზრდობა. ქართველ სტუდენტთა ურთიერთობა ჩერნიშვილის მის მფლობელთან.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე ილია ჭავჭავაძე შეუდგა ავადმყოფობის გამო გადადებულ გამოცდების ჩასაბარებლად გამუდმებულ მეცადინეობას.

უახლოეს ხანში დარჩენილი საგნები იქმნა ჩაბარებული.

საგნების მიხედვით ილიას ასეთი წარმატება აქვს:

„იურიდიულ ფაკულტეტის კამერალურ განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი თავადი ილია ჭავჭავაძე:

მიწადმოქმედება 4

ტექნოლოგია 4

სამოქალაქო სამართალი . . 5

საშუალო საუკ. ისტორია . } არა სავალდებულო
რუსეთის ისტორია } საგნები

ბოტანიკა 4

ქართული ენა 5

ლეთის მეტყველება 5th.

დამატებით გამოცდების ჩაბარებისთანავე ილია გა-
დაიყვანეს კამერალურ განკოფილების მესამე კურსზე.

სასწავლო წლის დასაწყისისთანავე ილია შეუდგა გაუ-
ხარაშეილის ნაამბობის დამუშავებას.

პირვენდელი სახე ამ თხზულებისა პროზაულია და
ჰქვია „კოლა“. მცირე ხნის შემდეგ ილიამ ოდნავ სახე—
უცვალა ამ ესკის და დაარქვა „ქაქო“.

ამ დაუმთავრებელ ესკიზებში გაერთიანებულია სამი
თხზულების ქარგა: „კაცია ადამიანისა“, „გლახის ნაამბო-
ბისა“ და „კაქო ყაჩალისა“.

1859 წლის უკანასკნელ ხანებში ილიამ დაასრულა
„გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ პირვენდე-
ლი ვარიანტები, რომელთა ავტოგრაფები სამწუხაროდ
არ შენახულან.

საზღვარგარედ გახიზნულ გერცენის „კოლოკოლი“
დღითი დღე ავტორიტეტისა და პოპულარობას იხვეჭდა-
ყოველი ახალი ნომერი ახალგაზრდობაში და საერთოდ
მთელ პეტერბურგსა და რუსეთშიც ხანგრძლივ მსჯელო-
ბისა და აღფრთოვანების საბაბი ხდებოდა.

ელენე ანდრეევის ასული შტაკენშნეიდერი თავის
დღიურებში ამის გამო სწერს:

„მაგიდაში მე მიდევს „კოლოკოლი“ ისკანდერისა,
საჭიროა მისი მალულად რაც შეიძლება ჩქარა წაკითხვა
და უკან დაბრუნება. ისკანდერი ეხლა ჩვენი აზრთა
მფლობელია, საგანი გაუთავებელი საუბრებისა. რასაც
ლონდონში წარმოსთვამს, ის აქ პეტერბურგში ხდება
მსჯელობისა და კომენტარიების საბაბი.

„კოლოკოლს“ ინახავენ, მაგრამ კითხულობენ ყველა-
ნი; ამბობენ, რომ მას კითხულობს ხელმწიფეც. კორეს-
პოდენციებს გერცენი ღებულობს ყოველ მხრიდან, ყო-

ველ სამინისტროდან, და, როგორც ამბობენ, სამეფო
კარებიდანაც.

მისი ეშინიათ და მისით არიან აღრფთოფანებულია. მაგრამ შას პეითხულობენ მაინც მა-
ლულად ერთეული ანდა მეტად ინტიმური ჯვულები.
მსჯელობენ მასზე ასევე მალულად.

ლაპარაკი და, მით უმეტეს, წერა მასზე თავისუფლად
აკრძალულია, მაგრამ ჩუმად საკუთარ წრეში ყველაფრის
თქმა აზ შეიძლება! გერცენის მიერ დაბეჭდილის გაკრი-
ტიკება, მასში დაეჭვება, — აზ შეიძლება. ეს მით უფრო
აკრძალულია ლიბერალების მიერ”¹⁰.

უკელაზე დიდი კერა, სადაც შეიძლებოდა ოდამიანი
ზიარებოდა და ჩაწერდომოდა გერცენის „კოლოკოლის“
იდეებს, იყო სახლი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევ-
სკისა (1828 — 1889).

ამიტომაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტო-
ბის მემარცხენე ნაწილი მიისწრაფოდა უახლოესი მეგო-
ბრობა ჰქონიდა მის ოჯახთან.

ჩერნიშევსკის სახლთან სხვა პეტერბურგის სტუდენ-
ტთა შორის მეგობრული განწყობილება ჰქონდათ პეტერ-
ბურგის ქართველ სტუდენტებსაც.

უდიდესი „რაზნობინეცის“ მეუღლე ოლღა სოკრატის
ასული, თავისი სტუმართმოყვარეობით და კეთილი ხა-
სიათით ხელს უწყობდა სტუდენტების დაახლოებას მის
ქმართან.

ივანე ისარლიშვილი გვიამბობს:

„ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, რომელთა შორის
იყვნენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დი-
დი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემის
დაარსების საქმეში და საერთოდ კავკასიის საზოგადოება-

რივ ცხოვრებაში შეიტანეს დიდი გამოცოცხლება, ძლიერ მისწრაფოდა „სოვერემინიკის“ რედაქციისაკენ.

ზოგიერთს ჩვენგანს დამოკიდებულება და გულტია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით ჩერნიშვესკის ოჯაში, ძლიერ ვვიტაცებდა სალამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდნენ ამ ოჯაშზე.

ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით სალამოობით ჩაიზე, როდესაც სახლში დაგვხვდებოდა ოლღა სოკრატის ასული თავისი დით. დროს ვატარებდით უბრალო საუბარში, არც პოლიტიკურ შეთქმულებას, არც ლიტერატურულ სალამოებს ჩვენ არ ემართავდით, მხოლოდ უბრალოდ ვსაუბრობდით. ვოხუნჯობდით და ერთმანეთს ვაცნობდით იმ ახალ აბგებს, რომლითაც დაინტერესებული იყო მთელი პეტერბურგი.

თვით ჩერნიშვესკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან; ის იჯდა თავის კაბინეტში და მუშაობდა. მხოლოდ ერთხელ, როგორც მახსოვს ახალ წლის წინა ღამით, ჩვენ ოლღა სოკრატის ასულის მეთაურობით შევიქერით მის კაბინეტში და გამოვიყვანეთ ის ჩვენს „კოსტუმებით“ მოწყობილ სალამოზე. მას ოლღა სოკრატის ასულმა გადააცეა ქალის კოსტუმი და დაბეჯითებით იწვევდა საცეკვაოდ.

ქმარიც და ცოლიც ყურადღებით გვებყრობოდნენ ჩვენ. ხანდისხან შემოდიოდნენ ჩვენთან, რომ წავიყვანეთ საღმე. ერთხელ როგორც მახსოვს, ჩერნიშვესკები ჩემთან შემოვიდნენ მეოთხე სართულზე. ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალსა და მომქმედს ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება. იქ ჩვენ არა ერთხელ ვხვდებოდით „სოვერემინიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევსა და სხვებს“ ²⁰.

მოუსმინოთ ნიკო ნაკოლაძესაც:

„შობის დღესასწაულების წინ — სწერს იგი — ჩემთან
მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომხიბლველი მანდილოსა-
ნი! ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის
ჩერნიშევსკის მეუღლე, და მთხოვა მეთხოვებინა მისთვის
სამასკარადოთ ჩემი ჩერქეზული კოსტიუმი. ამ ქალის შე-
სახებ მე ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელ-
ნიც ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მაშინვე შევასრუ-
ლე მისი თხოვნა. მას თან ახლდა უმცროსი და, ორივენი
შავთვალება და შავგვრემანები იყვნენ; უფროსი ქართველ
ქალსაც კი წააგავდა და გაცილებით უფრო მკეირცხლი
იყო, ვიდრე უმცროსი. მას ოლგა სოკრატოვნას ეძახდნენ.
— როდესაც მიღიოდა, პრძანების კილოთი დამაგალა —
ხვალვე მივსულიყავი მასთან კოსტუმისათვის და ჩაიზე.
მე თქვენ გაგაცნობთ ჩერნიშევსკისო.

როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ვე-
ლიოსე შემდეგ საღამოს. ისინი სკხოვრობდნენ ვლადიმე-
რის ქუჩაზე, სობოროს გვერდით, სტუმრები უკვე სასა-
დილო დარბაზში უსხდნენ ჩაის. დიასახლისი ასხავდა ჩა-
ის, მხოლოდ თვით ჩერნიშევსკი კი ოთახში არ იყო —
ოლგა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მაღე მოვაო.

მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმრები,
მათ შორის მხოლოდ ორი ქალი იყო, ჩემი ნაცნობები.
სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუ-
დენტები უმაღლესი კურსებიდან, ახოვანი ლამაზი ყმაწვი-
ლები, მშვენიერ ტანისამოსით მორთულნი, წვერით, რო-
მელიც მაშინ მოდაში იყო და დავარცხნილი თმებით.

გაასის დედააზრი, რომელიც ჩემს მებსიერებაში ჩარ-
ჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სტუდენტთავანი,
ივანე ანდრონიკაშვილი ალფროთოვანებული იყო სენატში

შიხაილოვის უშიშარი საქციელის ამბით, რომელმაც იქ
გამოაშკარავა მთელი თავისი შეხელულებანი და თავის
დასაცავად სიტყვის ნაცვლად საბრალმდებლო სიტყვა
წარმოსთქვა მთავრობის წინააღმდეგ.

ჩერნიშვესკის მეუღლემ შეაწყვეტინა მას მისი აღფ-
რთოვანება შენიშვნით, რომ ნიკოლოზ გაბრიელის ძე
ძალიან სწუხს შიხაილოვის ასეთი საქციელის გამო. მის-
თვის სრულიად არ იყო საჭირო გამოტეხილიყო, არამედ
ყოველი ლონისძიება უნდა ეხმარა, რაც შესაძლებელი
იყო, თავის გადასარჩენად. ჩვენ არც იმდენად მრავალ-
რიცხოვანი ვართ, რომ თვითვე გავყოთ თავი სახრჩო-
ბელის თოვშით.

ანდრონიკაშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა,
მაგრამ საწინააღმდეგო არა უოქვამს რა, მით უმეტეს,
რომ დარბაზში შემოვიდა ჩერნიშვესკი, რომელმაც დაა-
მოწმა მისი მეუღლის უკანასკნელი სიტყვები ორი-სამი
ნაჩქარევათ წარმორთქმული წინადედებით იმის შესახებ,
რომ სისულელეა გულაბდილობა ხელისუფალთა წინაშე,
რომელთაც, სულერთია სიტყვებით ვერაფერს ჩააგონებ.

ამ დროს მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნი-
შვესკის. როდესაც ვეთხოვებოდი, ჩერნიშვესკის მეუღლემ
მითხრა ყველა დიასახლისებისათვის ჩვეულებრივი ფრა-
ზა: ხშირად შემოიარეთო, მე კი, მიუხედავად ჩემი
დიდი სურვილისა, არ შემეძლო მორიდებული არ უყო-
ფილიყავი, მით უმეტეს, რომ კარგა შორი მანძილი უნდა
მევლო. მალე ქ-ნ ოლგას დას ისევ დასჭირდა ჩოხა-ახა-
ლუხი და იმათ გამოიარეს ჩემთან ეტლით, რომელშიცაც
შესანიშნავი „რისაკი“ იყო გაბმული და წამიუვანეს თა-
ვისას. თანთათან შევეჩვიე იმათ და აღარ გმორცხობდი.
სხვა ქართველ სტუდენტების მშგავსად, რომელნიც ყოველ
ზღვე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაერდი” ა.

თავი მთხვეთმაცე

სტუდენტთა ნაბეჭდ კრებულის შეორე გამოშევება, ილიას
ძმის თემების გარდაცვალება. ილიამ ავადმყოფობა.
მეოთხე კურსზედ გადასცლა. ზაფხულის პავლოცესში
გატარება. ცარსკოე სელოში სამეგრელოს დედოფლის
სანახაგადწესველა. ეკატერინე დადარის მიერ ნ. ბარა-
თაშვილის ნაწერების ჩვენება ილიასათვის. დექსი
„თ. ნიკოლოზ ბარათაშვილშედ“.

1860 წელს უნივერსიტეტში გამოვიდა სტუდენტთა
ნაბეჭდ კრებულის მეორე გამოშევება, რომელშიაც მოთავ-
სებული იყო, ანონიმოვის თარგმანის გაგრძელების გარდა,
ა. ს. ფამიცინის წერილი „ორგანიზმები ცხოველთა და
მცენარეთა სამეფოს მიჯნაზე“, დ. ი. პისარევის „ვილ-
ჰელმ ჰუმბოლდტი“, ვ. მაკეშევის თარგმანი შაფარიკის
თხუზულებისა: „ფილოლოგიური განხილვა რიცხვითი
სახელებისა“, ა. პ. პიატკოვსკის „დ. ვ. ვენედიქტოვის
ცხოვრებისა და თხზულებათა შესახებ“, ლ. ნ. მაიკოვის
„შენიშვნები გრიბოედოვზე“, საჯარო ლექცია მ. ნ. სტა-
სულევინისა „ლიტერატურული მეXIV ეპოქის საფრანგეთის პრო-
გინციალური ყოფის შესახებ“ და ნ. მ. ბლაგოვეშჩენკოს
„იუვენალი“.

იმავე წლის აპრილის თვეში მოულოდნელად გარ-
დაიცვალა კადეტთა კორპუსის მოწაფე, ილიას უმცრო-
სი ძმა თემერი.

1860 წლის 14 მაისის თარიღით მამიდა მაკრინე

ერისთავისადმი გაგზავნილ წერილში ურვით აღვსილი
ილია სწერდა:

„თქვენი წიგნი მომივიდა ფულით, და როგორც სჩანს,
მაშინ არა გყოდნიათ ჩემი უბედურება. მამიდაჯან! რა
დაუშავეთ, ეგრეთი ლმერთს, რომ ეგრე უწყალოდ და
შეუბრალებლად გვიწამლავს დღეებს ამთენ ტანჯვით.

ჩემი პატარა თემურ სადღა არის, მამიდაჯან! დავ-
კარგე საყუნოდ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე
რა ძმა?! ველარ გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნე-
ტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით
მაინც მიცვალებულიყო.

ვამე ჩემო პატარა ძმაო. ჩემო კარგო და ჰეკიანო-
თემურ. რაზე დამაობლე და დამაგდე! შენ წახვედი,
მოგვშორდი და შენ მაგრერ დაგვიგდე ნუგემად ცრემ-
ლი და წუხილი.

ვამე საყვარელო თემურ! აღარ ვაიხარებენ შენ ბელ-
ნიერებაზედ არც ძმა შენი უბედური, ველარც მამიდა და
ველარც დები შენი. სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმაო?
შემომხედე მე და შემიბრალე, რომ უშენოდ ესე ვიტან-
ჯები.

მაგრამ რაღას უშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და
ღვთის რისხეა აღსრულდა ჩენწედ. რა ვქნათ. რაც გა-
მოვზრდილვარ, სულ სიკვდილი მესმის გარშემორდამ, „სიკვ-
დილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩენ, მადლობა ლმერთს
ამგვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ, მამიდაჯან, ამ ცხოვ-
რების ღელვისაგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მოით-
მინეთ“ ¹².

წერილის მამიდასადმი გაგზავნისთანავე ილია სწერს
ლექსს „ძმის სიკვდილწედ“.

საყვარელი ძმის დაკარგვამ და პეტერბურგის მუდამ
ნისლიანმა დღეებმა კვლავ შეარყიეს ჯანმრთელობა-
ილიასი.

ზემოდნახსენებ თარიღით გაგზავნილ ბარათში ილია
გამიღას მწუხარებით შესჩივის:

„მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშ-
ლილია, თუ ღმერთმა ბოლო არ მამიღო კვლავ ამ დროს
დავბრუნდები შინ კურსგათავებული, მაგრამ მარტო მე
მოვალ შინ, მამიდაჯან. თქვენი პატარა თემურ საუკუ-
ნოდ დარჩება აქ“ ¹¹.

გამოცდების ჩაბარებისთანავე მეოთხე კურსზე გადაყ-
ვანილი ილია ზაფხულის გასატარებლად პავლოვსკში
გაემგზავრა.

ამ ზაფხულსავე კოხტა აბხაზთან ერთად ილია ჭავ-
ჭავაძე ცარსკოე სელოში წავიდა სამეგრელოს დედოფ-
ლის ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის სანახა-
ვად, რომელმაც მათ უჩენა თავისი ახალგაზრდობის მეგობ-
რისა და მოტრიფიალის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექ-
სები.

ილია ჭავჭავაძე გააოცა ბარათაშვილის ლექსებმა. ჭა-
ბუქმა ილიამ იგრძნო სიძლიერე ბარათაშვილის გენიალურ
თხუზულებებისა.

ვალაპარაკოდ კოხტა აბხაზი:

„მახსოვს ერთხელ — ვეიამბობს იგი — პავლოვსკიდან
ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბ. და-
დიანისას. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასა-
კითხავად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს,
ბარათაშვილის საკუთარი ხელთანაწერი. ეს იყო: „ქართლის
ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდი-
ლება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელი
ერთი კეირა ყმაწვილი ჰმოდავდა ბარათაშვილით“ ¹².

1860 წლის 19 ივნისს ილიამ პავლოვსკში შემდეგი
ლექსი მიუძღვნა ამ შემთხვევას:

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!..
გით ქარიშვალით ატებილ ბუქმა
ცას განუბნიოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუბარ შუბლმა.

წალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ამოვიკვნესე დაობლებულმა.

თავი მეთხვესახე 80

სოსიკო ვაჩიძის ჩამოსვლა პეტერბურგში. ილიას დღიური ხარჯი. დავალიანება. „პატარია კავკასიელების წრის შეკრებანი“. ილიას ლექსი: „ქართველ სტუდენტების სიმღერა“. „კაკო ყამალის“ პირვანდელი ვარიანტი. „აჩრდილისა“ და „ჭავა-აბრეკის“ თარგმანის გამოცემის ცდა. ილიას გალაშქრება რევაზ ერისთავის მიერ კაზლოვიფან „შეშლილის“ თარგმანის წინააღმდეგ.

შერილი ილია წინამდღვრიშვილისადმი.

სასწავლო წლის დასაწყისშივე პეტერბურგის უნივერსიტეტს ესტუმრი ილიას შორეული ნათესავი სოსიკო ვაჩიძე.

მუდმივად მეტად განსაზღვრულ თანხის მქონე ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო დაქმაყოფილებულიყო მინიმალური მოთხოვნილებებით.

საქართველოს მუხეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების ერთი ხელთნაწერის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აღდგენილ იქმნეს ილიას დღიური ხარჯისა და შისი დავალიანების ერთი ნაწილი.

ხელთნაწერის პირველსავე გვერდზე ილიას ხელით ჩატერილია.

„სოსიკოსი შმართებს	7 — 50
ჩიტუში და რალაცაებში	1 — 00
საღილები	1 — 00
ვიჩინა და პური	— 41
კბილის სარეცხი	— 30
პური	— 06* **

„პაწაწა კავკასიელების წრე“ სისტემატიურად აწყობდა კრებებს, სადაც ირჩეოდა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ ხასიათის, ისე ლიტერატურულ-კრიტიკული და ყოფითი საკითხებიც. ჯგუფი ხშირად აწყობდა თხუზულებათა ხმამალლა კითხვასაც.

„ჩვენ — სწერს ამ წრის ერთი წევრი — ხშირად ვიკრიბებოდით და ვძაასობდით, როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს“ ⁸⁴.

ქართველ სტუდენტთა წრის პოლიტიკური მისწრაობება და მათი შემდგომი მუშაობის გეგმა გაღმოშლილია ილიას ცნობილ ლექსში „ქართველ სტუნდენტების სიმღერაში“.

1860 წლის უკანასკნელ თვეებში, ილია ენერგიულად მუშაობს გაუხარაშეილის თავგადასავალის მიხედვით პოემა „კაკო ყაჩალის“ შესაქმნელად, რომელსაც თავდაპირველად მან დაარქვა „მოთხრობა ქაზიყელისა“.

პოემის მთავარი პერსონაჟი კაკო ბლაჭიაშვილის პროტოპი — ქარდანახელი გაუხარაშეილია.

ილიას უახლოესი მეგობარი გვიამბობს:

„რაც შეეხება მის შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩალის“ შესახებ მაბსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლამთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშეილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს რომელილაც ვაჩნაძეს და ყაჩალად გავარდა. იმალებოდა ალაზნის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სცარცუავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი“ ⁸⁵.

რაღვან 1859 წელს დასრულებულ პოემა „აჩრდილის“ დაბეჭვდა საცენტურო პირობათა გამო პატარა

ნაწყვეტის გამოკლებით ილიამ ვერ შესძლო, ამიტომაც გადასწყვიტა, იგი ცალკე წიგნად გამოეცა ლერმონ-ტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ თარგმანიან ერთად, რომელიც დაიბეჭდა 1860 წლის უკრნალ „ცისკრის“ მეთერთშეტუნომერში.

ამ საქმის მეთვალყურეობა მინდობილი ჰქონდა თბილისში მყოფ ილია წინამძღვარიშვილს.

დასახელებულ პირისადმი გაგზავილ ბარათში ილია მას ეკითხება: „...ერთი წიგნი მომწერე ჩემი აჩრდილი და ხაჯი აბრეკი რა ყოფაში არიან“ **.

ყოველგვარი მეცადინეობა იყო ამათ, ცენზურამ არ დართო ნება წიგნის დაბეჭვდისა.

1860 წლის ნოემბრის 5-ს ილიამ პეტერბურგში დაასრულა თავისი, აშშ სახელვანთქმული კრიტიკული წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის „კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“ და შემდეგი ბარათის თანდართვით გადაუგზავნა იგი ილია წინამძღვარიშვილს.

ილია მას სწერდა:

„აი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვიჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა.

შენც ძალიან შეგეხვერწები, რომ არ გამომაშვარავო არავისთან, ხელაღებით არავისთან იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერძესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ ჩემს მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ასე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოლნენ, მაგრამ შენ როგორც იყოს სხვის მხრით დააჯერე ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი.

ამას გარდა თუ ვინცობაა კერძესელიძემ არ დაბეჭ-
დოს, უთხარ როგორმე, რომ ეს აზნაური ზუმბერიძე რო-
მელიმე რესის უურნალში ან გაზეთში გიჩივლებს თქო.
ქართველებთან და ვაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებს თქო.

ვიცი კერძესელიძეს თ. რ. შ. ერისთავისა ეშინიან და
იქნება იმსათვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს
მიაკოს უნდა მიუტანო, იქამდის ის ქალაქში იქნება მო-
სული.

ესე შენი ჭირიმე და შენი ჭკუის, როგორც გეუბნები
ისე მოიქმედ. ჩიკვაიძესთვის მე აქ უველაფერი მითქომს,
იმან თვითონ იცის, როგორც მიუტანოს კერძესელიძეს” ²⁹.

კრიტიკულ სტატიისთან ერთად ილიაშ წინამდლერიშ-
ვილს ივანე კერძესელიძისათვის გადასაცემად თავისი სა-
კუთარი ლექსებიც გაუგზავნა. „ეს ლექსები — სთხოვს მას
ილია — კი შენ მიუტანე კერძესელიძეს” ³⁰.

თავი მაჩვიდებელი

ამხელრება ილიას კრიტიკული წერილის წინააღმდეგ-
გამოცდები. საზაფხულო არდადებები. ილიას დაბრუ-
ნება საქართველოში. „პასუხი“. ილიას ჩაბრუნება პე-
ტერბურგში. საცნივერსიტეტო რეფორმები. სტუდენტ-
თა „სხოდები“. ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა
ამბოხებაში. ილიას დამოკიდებულება სტუდენტთა
მღელვარებასთან. ძატრიკულები. უნივერსიტეტის
მიტოვება. ილიას წამოსვლა საქართველოში.

ილიას კრიტიკულმა წერილმა ქართველ თავადაშნაუ-
რობის რეაქციონურ და კონსერვატიულ წრეებში უდიდესი
მითქმა-მოთქმა და აღშეფოთება გამოიწვია.

საპასუხოდ ამხელრდნენ მწერალი ქალი ბარბალე ჯორ-
ჯაძე, გიორგი ბარათაშვილი და რევაზ ერისთავი.

მოპასუხებმა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის „შესარ-
ყევად გამოიყენეს ილიას მიერ კერძსელიძისათვის გადა-
საცემად წინამძღვარიშვილისადმი გაგზავნილი ლექსები.
განსაკუთრებით იერიში მიტანილ იქმნა ილიას ლექსზე
„გაზაფხული“.

ჩააბარა რა ილიამ გამოცდების ერთი ნაწილი, იგი
გაშინევა საქართველოში წამოიდა და 1861 წლის მაისის
14-ს თბილისში დასწერა თავისი „პასუხი“, რომელშიდაც
გაარჩია მისი მოწინაღმდეგეთა დებულებანი და შეხელულე-
ბანი.

ეს წერილი დაიძექდა იმავე წლის ურნალ „ცისკრის“
მეექვსე წომერში.

ილიას ამ პასუხს გამოედავნენ „მამების“ ბანაკიდან, და
შათსა და ახალგაზრდობას შორის გაჩაღდა ბრძოლა,
ბრძოლა სოციალურ-პოლიტიკური და არა მარტო სალი-
ტერიტორიულო და ენობრივ ხასიათისა, როგორც ეს წინედ
ევონათ.

1861 წლის სექტემბრის თვის დასაწყისში გამოქვეყნ-
და ახალი საუნივერსიტეტო რეფორმა, რომლის მიხედ-
ვიდაც უქმდებოდა ლარიბ და თავისუფალ მოსიარულე
სტუდენტთა განთავისუფლება 50-მანეთიან გადასახადისა-
გან და სასტიკად იქრძალებოდა სტუდენტთა ყოველგვარი
სახის შეკრებანი; გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში
იმავე კურსშე დაუტოვებლად სტუდენტი უნდა გარიცხუ-
ლიყო უნივერსიტეტიდან, სტუდენტთა სალარო-ბიბლიო-
თეკისა და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციათა ხელმძღვა-
ნელების არჩევის უფლება გადადიოდა უნივერსიტეტის
მართველობის ხელში. სტუდენტებისადმი სალაროდან
ფულადი დახმარების გაცემას ნებართვა დამტკიცებულ
უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორის ან ინსპექ-
ტორის მიერ.

ახალმა რეფორმამ ძალზე ააღელვა სტუდენტობა.

სტუდენტები გროვდებოდნენ, მსჯელობდნენ, აწყობ-
დნენ ეგრედ წოდებულ „სხოდებს“.

უნივერსიტეტის კედლებში გაჩნდა პროკლამაცია, რომელიც საზოგადოებრივ იყო დაბეჭდილი.

ეს პროკლამაცია კიცხავდა მთავრობას და მოუწო-
დებდა სტუდენტებს ბრძოლისაკენ ძველი რეეიმის
წინააღმდეგ.

მთელი კვირა პეტერბურგში ამ ამბებზე იყო ლაპარაკი
და მსჯელობა. პროკლამაცია, რომელსაც ამშენებდა
ეპიგრაფი კ. ფ. რილევის ლექსისა „Иль буду в роко-
вое время позорить гражданина сан“, საიმპერატორო

ოჯახის წევრებმა და წარჩინებულმა პირებმა ფოსტით
მიიღეს, მეფეს კი იგი მიართვეს სხვა მოსახსენებელ ქადაგების
ღალადებთან ერთად.

პროკლამაციის გამავრცელებელი მიხაილოვი უახლოეს
ხანში დაიკირეს და მოათავსეს პეტრეპავლეს ციხეში.

1861 წლის 22 სექტემბერს უნივერსიტეტის ადმი-
ნისტროაციას მოუვიდა განკარგულება ყველა თავისუფალი
აუდიტორიის დახურვისა.

23 სექტემბერს უნივერსიტეტის შესაქრებ დარბაზის
კედელზე გაჩდა ასეთი ხასიათის მოწოდება:

„ჩვენ შევადგენთ ლეგიონს, იმიტომ რომ ჩვენს მხარე-
ზეა ნათელი გონიერება, საზოგადოებრივი აზრი, ლიტერა-
ტურა, პროფესორები, უთვალავი რიცხვი თავისუფლად
მოაზროვნე წრეებისა, დასავლეთი ევროპა, საუკეთესო
და მოწინავე ჩვენთანაა. ჩვენ ბევრნი ვართ, ჯაშუშებზე
გაცილებით ბევრნი. საკმარისია ვაჩვენოთ მხოლოდ ჩვენი
ძალ-ლონე. იცოდეთ სროლას ჩვენს მიმართ ვერ გაძედა-
ვენ. უნივერსტიტეტის გამო პეტერბურგში იცეთქებს
ამბოხება“ ¹¹.

24 სექტემბერს შეწყვეტილ იქმნა ლექციების კითხვა.
მეორე დღისათვის სტუდენტებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ
დემონსტრაცია.

„სექტემბრის 24-ს — სწერს ერთი ქართველი სტუ-
დენტი — ისიც იყო ვისალილეთ მ. ი. სემიონოვის ქალ-
თან, რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღოლობერიძები;
ნ. ბ. და ბ. ლ. ღოლობერიძეებმა გადმოვცეს, რომ ხვალ
მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდისო და ჩვენც
(ე. ი. ქართველმა სტუდენტებმაც — ი. ბ.) გამოუკლებ-
ლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო.

ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოლობერიძემ წას-
ვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში

დარჩითო, ეს კი საკმაო იყო იმისთვის, რომ არა თუ
დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელ-
ზედაც შეგვეხეთქა“ ²².

დემონსტრაციაზე ქართველი სტუდენტობა გამოცხად-
და უკლებლივ.

რამდენიმე ათასი სტუდენტი დარაზმული მიიმართე-
ბოდა სასახლის ხიდზე, შეუხევის ვლადიმირსკის ქუჩით
და გავიღნენ კოლოკოლნაიაზე. პროცესის დასაწყისი ყაზა-
ნის ტაძართან იყო, ბოლო კი სასახლის ხიდზე. დემონს-
ტრაცია მიიმართებოდა მხრუნველ ფილიპსონის ბინისაკენ.
მხრუნველი მათ სახლში არ დახვდა.

დემონსტრაციის მონაწილეებმა დაუწყეს ლოდინი და
ადრე დაშლებოდნენ კიდეც, რომ არ გამოჩენილიყო
პრეობრაჟენსკის პოლკი მთელი თავისი შეიარაღებით.
პოლკის მეთაურებმა წინადაღება მისცეს სტუდენტებს
დაშლილიყვნენ. სტუდენტებმა გადასცეს, რომ მოელიან
მხრუნველს. საპასუხოდ ჯარის კაცებმა გასტენეს თოფები.
სტუდენტთა ნაწილი დაშინდა და გაიქცა.

მხრუნველ ფილიპსონის გამოჩენამ მდგომარეობა შეს-
ცვალა. გაქნილმა მოხელემ დააჯერა სტუდენტები, რომ
საქმიანი მოლაპარაკება ქუჩაში შეუძლებელია და იმიტომ
უნივერსიტეტში წავიდეთო.

სტუდენტების მოთხოვნით ფილიპსონმა პოლკი მოხსნა
და დემონსტრაცია გაიმართა უნივერსიტეტისაკენ. უნი-
ვერსიტეტში მისვლისას ფილიპსონის წინადაღებით აირ-
ჩიეს სტუდენტთა „დეპუტაცია“, რომელსაც სტუდენტთა
საჩივარი განათლების მინისტრისთვის უნდა მოეხსენებიათ.

სტუდენტები დაიშალნენ.

იმავე ლამეს „დეპუტატები“ დააპატიმრეს და მოათავ-
სეს პეტრებავლეს ციხეში.

ამან აღაშფოთა ისეთი სტუდენტებიც კი, რომლებიც

დემონსტრაციის წინააღმდეგნი იუვნენ და მეცალინეობის
გაგრძელებას მოითხოვდნენ.

ამის შემდეგ სისტემატიკურად მიმდინარეობდა სტუდენტთა
დენტთა „ყრილობები“ ცის ქვეშ, უნივერსიტეტის ეზოში,
ში, შემდეგ კი მდინარის განაპირა ქუჩაზე და მოედანზე
უნივერსიტეტის შინ.

ასე იყო 25 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე.

12 ოქტომბერს სტუდენტები ჩეეულებრივად უნი-
ვერსტიტეტის მთავარ შესასვლელთან შეგროვდნენ და
ჯერ „სხოდეა“ არც კი დაეწყოთ, რომ ჯარმა ალყა შე-
მოარტყა მათ; ისინი შერეეს უნივერსიტეტის ეზოში, რო-
მელიც ამდენი ხანი დაკეტილი იყო.

ილია ჭავჭავაძემ იმ დღეს დაიგვიანა. „მე და ილია,
როდესაც მივედით — სწერს კოხტა აბხაზი კრებისათ-
ვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა“ ².

ეზოში შერეკილი სტუდენტობა დაიჭირეს და მოათავ-
სეს კრონშტადტის ციხეში.

დაპატიმრებულთა შორის ქართველ სტუდენტებიდან
იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ლოლობერიძე,
გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დავით აბდუშელი-
შვილი, აბელ ჩოლოყაშვილი, ივანე ისარლიშვილი, პეტრე
ალხაზიშვილი, დავით ლოლობერიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი
და სხვანი.

ცნობა სტუდენტთა დატუსაღების შესახებ უმაღვე
მოედო ჯერ პეტერბურგს, მერე რუსეთსა და ევროპასაც.

დაპატიმრებულ სტუდენტებს მოსდიოდათ გასამხნევე-
ბელი წერილები, მიძღვნები ლექსად, მოწოდებანი და სხვა.

რუსეთის მოწინავე ადამიანთა მთელი გულისყური და
სიმბატია კრონშტადტის ციხისაღმი იყო მიმართული.

საზღვარგარეთ კი ამბოხებულ სტუდენტთა გასამხნე-
ვებლად მთელი ხმით რეკლამი გერცენის „კოლოკოლი“.

ვიდრე წინ წავიდოდე, მე მინდა ორიოდე სიტყვა
ვსთქვა, უკეთ თვითონ ილია ჭავჭავაძე ვალაპარაკო სტუ-
დენტის როლისა და მისი დამოკიდებულების შესახებ
მოძრაობა-ამბოხებისადმი. ეს გაგვიაღვილებს გავერპ-
ვეთ ილიას დამოკიდებულებაში 1861 წლის სტუდენტთა
მოძრაობასთან.

თავისი შეხედულებანი ამ საკითხზე ილიას გამოთქმუ-
ლი აქვს პასუხში „პეტერბურგის ქართველ სტუდენტები-
სადმი“.

აი ერთი ადგილი ამ წერილიდან:

„მე მივხვდი და ვიწამე — სწერს ილია — რომ კეთილ-
შობილებით ალსავსე გულთა ძერამ აღმოგიშობათ სურვი-
ლი ქება-დიდებით და ლოცვა კურთხევით მიჰმართოთ
ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის.“

ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშევნეორს
და ყოვლად თავ-მისაწონებელს გულთა ძერას და გა-
სამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს
შორიდან დიდებულ საქმის მომქმედთა, რომელთა ხელის
ლონე არ შესწევს ძლიერებას გულისას.“

კაცთა სამწუხაროდ, დლევანდელი დღე მუშტისაა, ძა-
ლა პენავს აღმართსა: ამით უფრო საქებ-სადიდებელია
ულონო ჩაგრულთა მოქმედება.

მე არ ვეჭობ, რომ მოვა და თავისუფლება და
სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძნები გამოდიან,
დაემჯობინება მთელს სპა-ლაშქარსა და ერთისაც და
მეორეის წინაშეც ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი.
აქ არის ყოვლად მხსნელი ღონე და სასოება ჩაგრულთა
და დევნილთა და დღეს ამის მაგალითებს თვალშინ გვი-
ყენებს ერთი მუქა ერი საპერძეოისა.

თქვენ ჩემზე უქეთ მოგეხსენებათ, რა ხართ თქვენ,
უმაღლესი სწავლისთვის გადახვეწილნი ქართველნი ჩვენის



ა. კავკაզის მეტროპოლიტენის სტრუქტურა გვივის (მარცხნიდან მეტამი)

ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა
დამყარებული, ჩვენი ხვალე, ჩვენი მერიმისი თქვენა ხართ,
თქვენ რომ თქვენი უუწმინდაესი საქმე არ შეგასურლებით ნონ
და ამის გამო სრულის, რამოდენაც შესაძლოა, სწავ-
ლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ ჩვენს ქვეყა-
ნას, ვისლა იმედზედ დარჩეს. აშკარაა, იგი, რაც თქვენ
მოგიხადინებიათ, არ მოეწონება და ვაი თუ ამით გზია-
ნოთ რამ. თქვენი ზიანი ჩვენის ქვეყნის ზიანია.

სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძი-
ნეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხევთ, ნურც იქით,
მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამისის
უუძლიერესის თვალ-ხშალით ეპატრონეთ თქვენდა მოსავს
ქვეყანასა, რომელსაც სხვა საცემოებელი თქვენს წინაშე
არაა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან
ხსნასა და ბეჭნიერებას” ¹¹.

ეს იყო მიზეზი, რომ ილია ჭავჭავაძემ არ მიიღო მო-
ნაწილეობა სტუდენტთა მოძრაობაში. ვეულისხმობ ამბო-
ხებაში რაიმე მოვალეობის შესრულების, იგიტაცია-პრო-
პაგანდას და სხვას და არა უბრალო დასწრებებს სტუ-
დენტთა კრებებზე.

სწორედ ეს აქვს მხედველობაში კოხტა აბხაზს, როცა
ამბობს: „ილია არ გარეულა და მონაწილეობა არ მიუ-
ღია იმ დროინდელ სტუდენტების არეულებაშიო“ ¹².

უნივერსიტეტში კი სტუდენტთა დაპატიმრების დღეს-
ვე ბრძანება გამოაკრეს, ვინც არ შიიღებდა „მატ-
რიულებს“, რის მიღებაც ნიშნავდა იშას, რომ იგი სავ-
სებით ემორჩილებოდა საუნივერსიტეტო რეფორმას და
არავითარ მონაწილეობას სტუდენტთა შეკრებებში არ
მიიღებდა, მან 24 საათის განმავლობაში უნდა დასტოეოს
პეტერბურგით.

„მეც და ილიაც, -- სწერს კოხტა აბხაზი, — იძულებულნი ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყვით, ეს მოხდა აგრეთ წოდებულ „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოლებულ იქნა პეტერბურლის გენ. — გუბერნ. ივნატიევის წყალობით და მეცალინეობით. ჩენ თითქმის ყველა სტუდენტებმა ამის შესახებ პროტესტი გამოვაცხადეთ; და მართალია არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დაესწრებიყართ, მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს, რომ ეინც მატრიკულებს არ დაემორჩილება, პეტერბურლიდან 24 საათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო“ ¹⁸.

თვითონ ილია თავის „ავტობიოგრაფიაში“ ამის გამო შენიშნავს: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავ, მაგრამ დავანებებ თავი უნივერსტიტეტს მაშინდელ საუნივერსტიტო არეულობის მიხედით“ ¹⁹.

პეტერბურგში აღარ ედგომებოდა. ილიამ საუნივერსიტეტო განკარგულების გამოცხადების დღესვე ჩაალაგა თავის „ნათელ ფერის ჩემოდანში წიგნები, რომლებშიაც იყო ეგზომ მრავალი, უფრო ნათელი იდეები“ და წამოვიდა საქართველოში.

ხელისაბის მაჩვენებელი

1. იბ. : რტუში დეისტი „საქართველოს გული“ 1923 წ. გვ. 21 — 23.
2. იბ. ი. ჭ-ს „თბილებანი“ 1914 წ. გვ. IV.
3. იბ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ 1935 წ. წიგნ I გვ. 550.
4. იბ. ი. ჭ-ს ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი 1898 წ. გვ. 5, 6.
5. იბ. ი. ჭ-ს „თბილებანი“ 1914 წ. გვ. VI, VII.
6. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 554.
7. იბ. უცრ. „განათლება“ 1936 წ. № 5 — 6. გვ. 233.
8. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 550 — 552.
9. იბ. უცრ. „განათლება“ 1908 წ. № 1 გვ. 17.
10. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 555.
11. იბ. უცრ. „განათლება“ 1908 წ. № 1 გვ. 17.
12. იბ. იგივე წყარო.
13. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 557.
14. იბ. იგივე წყარო გვ. 554.
15. იბ. გან. „მუშა“ 1936 წ. № 226.
16. იბ. უცრ. „განათლება“ 1936 წ. № 5 — 6. გვ. 233.
17. იბ. უცრ. „განათლება“ 1908 წ. № 1 გვ. 18.
18. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 373.
19. იბ. იგივე წყარო გვ. 563.
20. იბ. იგივე წყარო გვ. 564.
21. იბ. იგივე წყარო გვ. 565.
22. იბ. В. Иваненко „Гражданское Управление в Закавказье“ 1907 წ. გვ. 349.
23. იბ. საქ. მუხ. პალ. განყ. ყოფ. წ. ქ. გ. ს. ფონდ. ხელ. № 1662.
24. იბ. ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარი“ 1893 წ. გვ. 245.
25. იბ. გან. „კომუნისტური განათლება“ 1935 წ. № 4.
26. იბ. დ. ყიფანი „მემუარები“ 1930 წ. გვ. 7.
27. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნ I გვ. 563.

28. იბ. 6. ბარათაშვილი 1922 წ. გვ. XI, XII.
29. იბ. საქ. მწერ. მუხ. ი. ჭ-ს არქივი რვეული ბიოგრ. ჟასალე-
ბისა № 13.
30. იბ. საქ. მუხ. ყოფ. საისტ. საეთნ. სახ. ფონდ. ხელ. № 62.
31. იბ. გაბ. „თემი“ 1913 წ. № 122.
32. იბ. საქ. მუხ. ყოფ. საისტ. საეთნ. სახ. ხელ. № 62.
33. იბ. ზუგდიდის მთარეთმცოდნეობის მუნიციპალიტეტის არ-
ქივი.
34. იბ. საქარ. მწერალთა მუხ. ი. ჭ-ს არქივი რვეულ. ბიოგრაფ.
ჟასალებისა № 13.
35. იბ. უცრ. „მთამბე“ 1904 წ. № 4 გვ. 5 — 6.
36. იბ. „Пленницы Шамиля“ воспоминание Г-жи Дарре 1859 წ.
გვ. 29 — 30.
37. იბ. „ლ. ბ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 555.
38. იბ. გაბ. „თემი“ 1912 წ. № 55.
39. იბ. „ლ. ბ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 566.
40. იბ. უცრ. „ცისკარი“ 1857 წ. № 6.
41. იბ. უცრ. „მნათობი“ 1936 წ. № 5 — 6 გვ. 233, 234.
42. იბ. უცრ. „მნათობი“ 1924 წ. № 4. გვ. 239.
43. იბ. „ლ. ბ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 558.
44. იბ. ი. ჭ-ს „თხნულებანი“ 1914 წ. გვ. XXIV, XXV.
45. იბ. 6. ნიკოლაძე „რჩეული ნაწერები“ 1931 წ. ტომი I
გვ. 95, 96.
46. იბ. ივიცე წყარო გვ. 84.
47. იბ. ივიცე წყარო გვ. 84, 85.
48. იბ. ივიცე წყარო გვ. 85, 86.
49. იბ. Собр. Сочинений К. Д. Кавелина 1898 წ. ტომი I გვ. IX
50. იბ. 6. ნიკოლაძე „ნიკეული ნაწერები“ 1931 წ. ტომი I გვ. 95.
51. იბ. А. А. Чагорели „Свед. о пятят. Груз. письм. 1894 წ.
ტ. I გამოშვება მესამე გვ. 186 — 187.
52. იბ. უცრ. „კრებული“ 1873 წ. წიგნი მეოთხე გვ. 151, 152.
53. იბ. გაბ. „კომიტეტისტური განათლება“ 1936 წ. № 3.
54. იბ. უცრ. „ცისკარი“ 1863 წ. № 7 გვ. 370, 371.
55. იბ. „ლ. ბ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 5-3 — 564.
56. იბ. საქ. მუხ. ყოფ. წ. კ. გ. ს. ხელონაუ. № 4994.
57. იბ. საქარ. მწერალთა მუხ. ი. ჭ-ს არქივი საბუთი № 13.
58. იბ. უცრ. „მნათობი“ 1933 წ. № 8, 9 გვ. 270.

59. იბ. საქართ. მწერალთა მუნ. გრ. ყიფშიძის მიერ გადაწერილი
ილიას წერილების ასლების რეკოლი.
60. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 558.
61. იბ. საქ. მწერალთა მუნ. ი. ჭ-ს არქივი საბუთი № 13.
62. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 565, 566.
63. იბ. ი. ჭ-ს „ნაწერ. სრელ. კრებ.“ 1929 წ. ტ. I გვ. 465.
64. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 564.
65. იბ. იგივე წყარო გვ. 561.
66. იბ. უცრ. „მნათობი“ 1933 წ. № 8 — 9. გვ. 270.
67. იბ. არტურ ლეისტი „საქართველოს გული“ 1923 წ. წიგნი I
გვ. 46 — 47
68. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 564.
69. იბ. უცრ. „მნათობი“ 1933 წ. № 8 — 9 გვ. 270.
70. იბ. იგივე წყარო გვ. 271.
71. იბ. საქ. მწერ. მუნ. გრ. ყიფშიძის მიერ გადაწერილი ილიას
წერილების ასლების რეკოლი.
72. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 560, 561.
73. იბ. იგივე წყარო გვ. 561.
74. იბ. გან. „ივერია“ 1899 წ. № 210.
75. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 565.
76. იბ. იგივე წყარო გვ. 565.
77. იბ. იგივე წყარო გვ. 566.
78. იბ. საქ. მწერ. მუნ. ი. ჭ-ს არქივ. რეკოლ. ბიოგრ. შასაც.
№ 13.
79. იბ. Е. А. Штакеншнейдер „Дневники и записки“ 1934 წ.
გვ. 160.
80. იბ. Г. Туманов „Характерист. и Воспоминания“ 1913 წ.
წ. I გვ. 230, 232.
81. იბ. 6. ნიკოლაძე „რჩეული ნაწერები“ 1931 წ. ტ. I გვ. 121, 122.
82. იბ. საქ. მწერალ. მუნ. ი. ჭ-ს არქივი.
83. იბ. იქვე.
84. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 564.
85. იბ. საქ. მუნ. ყოფ. წ. ქ. გ. ს. ხელ. № 4994.
86. იბ. „ლ. მ.“ 1935 წ. წიგნი I გვ. 561.
87. იბ. იგივე წყარო გვ. 565.
88. იბ. საქართ. მწერ. მუნ. ი. ჭ-ს არქივი საბუთი № 58.
89. იბ. იგივე საბუთი,



90. იბ. იგივე საბუთო.
91. იბ. С. Гессен „Студен. движ.“ 1932 წ. გვ. 60. ს. 100, 101.
92. იბ. ბ. ნიკოლაძე „ოჩეული ნაწერები“ 1931 წ. ტ. I გვ. 100, 101.
93. იბ. „ლ. მ. 1935 წ. წიგნი I გვ. 555.
94. იბ. საქართ. მუნ. მუნ. ი. ჭ-ს არქივი საბუთო № 36.
95. იბ. „ლ. მ. 1935 წ. წიგნი I გვ. 564.
96. იბ. იგივე წყარო გვ. 564.
97. იბ. უცრ. „განათლება“ 1908 წ. № 1 გვ. 18.

ს ა ხ ჩ 0 3 0

	83-
თავი პირველი	7
თავი მეორე	15
თავი მესამე	19
თავი მეოთხე	24
თავი მესუთე	30
თავი მეექვესე	35
თავი მეშვიდე	40
თავი მერვე	42
თავი მეცხრე	49
თავი მეათე	58
თავი მეთერთმეტე	62
თავი მეთორმეტე	67
თავი მეტამეტე	72
თავი მეთოთმეტე	77
თავი მეთორმეტე	83
თავი მეოთხმეტე	87
თავი მეოუკვსმეტე	91
თავი მეჩემდმეტე	93
წყაროების მაჩვენებელი	

რედაქტორი — გ. ქიქოძე
ტექნიკ. — ს. გაბესკირია
მხატვარი — ლ. ზაალიშვილი -
კორექტ. { შ. დემეტრაძე
ტორები { ა. ვარდოსანიძე

* *

გად. ჭარმოებ. 27/IV 1937 წ.
ნელმ. დასაბ. 14/V 1937 წ.
გამოც. პირვ. ტირაჟ. 3.500
ქ. №. 52×84; წიგ. ზ. 5×8
სასტ. ფ. რაოდ. 6¹/₂; შეკვ-
თის № 478. მთავრ. რწმუ-
ნებული № 13634.

* *

გამომცემლ. „ფედერაცია“-ს
სტამბა, თბილისი, პლესა-
ნოვის პრ. № 181.



ଶୁଣ୍ଡ 3-00
ପଢ଼ା 40

3-40

3. 9418

372318



ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ